619
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ივნისი
№ 6 1975 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯინჯველაშვილი

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი ვერ შესძლებს წარმატებით აწარმოოს რევოლუციური ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის, თუ არ ეყოლა მტკიცე, ამ ბრძოლებში გამოწრთობილი ისეთი პარტია, რომელიც ხალხის ნდობით სარგებლობს და შეუძლია მასებზე ზეგავლენა მოახდინოს და გაიყოლიოს ისინი.

მეოცე საუკუნის დამდეგს სწორედ ასეთი პარტია შეიქმნა რუსეთში.

კლასობრივ ბრძოლებში შობილმა კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დარაზმა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, ყველა მშრომელი გადამწყვეტი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რითაც საფუძველი ჩაუყარა ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მუშათა კლასის, ყველა მშრომელის საარსებო ინტერესს გამოხატავს და ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებს, შეძლო შეეკავშირებინა ყველა ერი და ეროვნება ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახად და მათი ძალები ახალი საზოგადოების შექმნისათვის წარმართა.

ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მთელ თავის მოღვაწეობაში იგი ხელმძღვანელობს მოწინავე რევოლუციური თეორიით, რომელიც პარტიას ანიჭებს მიზნის სიცხადეს, გამარჯვების რწმენას, ყოველ ვითარებაში გარკვევისა და ისტორიაში ახალი გზების გაკაფვის უნარს. ეყრდნობა რა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ღრმად ცოდნას, პარტია ყოველ ისტორიულ ეტაპზე იმუშავებს სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ პოლიტიკას, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებასა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

სკკპ XXIV ყრილობამ, რომელმაც გვიჩვენა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი შემოქმედებითად მიდგომის ნიმუში, ხაზი გაუსვა თანამედროვე პირობებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის უდიდეს მნიშვნელობას, თეორიისა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მეცნიერული მიდგომა საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობისადმი.

ყრილობამ მიიჩნია, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარება პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მსოფლიოში არც ერთ პარტიას არ აქვს მასებთან მუშაობის ისეთი მდიდარი გამოცდილება, როგორიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. მასებთან მჭიდრო კავშირის იდეა წითელი ზოლივით გასდევს ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. სავსებით სწორია ის დებულება, რომ კომუნისტური პარტიის ისტორია ეს არის ხალხის მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარებისა და განვითარების ისტორია.

ხალხის მასებთან ურღვევი კავშირი კომუნისტურ პარტიას საშუალებას აძლევს გაერკვეს მშრომელთა მდგომარეობაში, იცოდეს მათი განწყობილებანი, მისწრაფებანი, სურვილები და მოთხოვნილებანი. ყოველივე ეს პარტიას ესაჭიროება იმისათვის, რომ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში დროულად და სწორად განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანები და დასახოს ღონისძიებანი მათი გადაჭრისათვის, ურომლისოდაც პარტია ვერ შესძლებს სახელმწიფოსა და ხალხის ხელმძღვანელობას.

კომუნისტური პარტია არა მარტო ასწავლის მასებს, არამედ თვითონაც სწავლობს მათგან.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ისტორიული მოქმედების გაფართოებასთან ერთად იზრდება იმ მასის მოცულობა, გამოცდილება და გაქანება, რომლის საქმეს ეს მოქმედება წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინი მარქსიზმის მოძღვრებაში ამ დებულებას ერთ-ერთ უღრმეს და უმნიშვნელოვანესს უწოდებდა. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა მასების ცოცხალ შემოქმედებას, მათ შრომითს პროცესში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, როგორც ახალი საზოგადოების შექმნის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

კომუნისტური პარტია მასებთან კავშირს მრავალი არხით განამტკიცებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება, საბჭოთა საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობა რამდენიმე „ბერკეტის“ უქონლად. მასებთან პარტიის დამაკავშირებელ „ბერკეტებს“ საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია და სხვა მასობრივი ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც მილიონობით მშრომელს მოიცავს და რომელთა საშუალებით პარტია თავის კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ხალხის ფართო მასებზე, შთააგონებს და წარმართავს მათ კომუნიზმისაკენ. ეს მასობრივი ორგანიზაციები რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა პარტიისა და ხალხის მტკიცე კავშირი, ურღვევი ერთიანობა, პარტია ვერ შეძლებდა განეხორციელებინა საბჭოთა საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველეყო მასების შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალი ბრწყინვალე დადასტურება იყო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნები, რომელიც 1975 წლის 15 ივნისს ჩატარდა. არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი დაემთხვა რუსეთის პირველი რევოლუციის 70 წლისთავს, რომლის ქარცეცხლში წარმოიქმნა საბჭოები — საბჭოთა ხელისუფლების პირველი სახე. არჩევნებმა, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის საფუძველზე ჩატარდა, კიდევ უფრო განამტკიცეს საბჭოთა საზოგადოების — პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით საბჭოთა ადამიანებმა კვლავ გამოხატეს თავიანთი მოწონება და მხარდაჭერა იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა ახორციელებს.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობისა და ფართო კავშირის ერთ-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (462) ივნისი, 1975 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1975



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ო. დემეტრაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ს. დურმიშიძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლ. სულაბერიძე, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

კორექტორი ტ. თაბორიძე

საქ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ერთი დამახასიათებელი ნიშანია მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი, საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოების ამ შესანიშნავ მამოძრავებელ ძალებზე დაყრდნობით პარტია და ხალხი უდიდეს გამარჯვებებს აღწევს სამეურნეო, ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ვ. ი. ლენინი პარტიას ასწავლიდა, რომ თავის მუშაობაში იგი დაყრდნობოდა ყველა მშრომელის სიბრძნესა და გამოცდილებას, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაეწყვიტა კოლექტიური განხილვის საფუძველზე, რადგან „...ათეული მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიდი და გენიალური წინასწარხედვა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 555).

ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების განხორციელების შედეგია, რომ კომუნისტური პარტიისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების საქმიანობაში წესად დამკვიდრდა პარტიული, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კანონპროექტების საერთო-პარტიული და საყოველთაო-სახალხო განხილვა, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკთა თათბირები და ა. შ.

პარტიის მთელ მოღვაწეობაში, მასებთან მისი ურღვევი კავშირის განმტკიცებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

კომუნისტური პარტიისა და ხალხის ურღვევი კავშირი მკაფიოდ იჩენს თავს პარტიული რიგების ზრდით, პარტიაში ახალი ძალების განუწყვეტელი მოზიდვით. პარტიული რიგების ზრდა ასახავს მის დიდ ავტორიტეტსა და საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობას პარტიისადმი.

კომუნისტური პარტიის რიგებში XXIII და XXIV ყრილობებს შორის მიღებულია სამი მილიონი კაცი, 1974 წელს კი — 550 ათასი კაცი. პარტია აერთიანებს 15 მილიონზე მეტ კომუნისტს — საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე წარმომადგენელს, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს, რაც ყველაზე მკაფიოდ განასახიერებს მთელი საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას.

კომუნისტური პარტია დღიდან თავისი შექმნისა ყოველთვის იყენებდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც მძლავრ იარაღს თავისი რიგების შემჭიდროებისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის, მიღწეულის კრიტიკული შემოწმებისათვის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა საჭირო და აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ აშკარა, პირდაპირი, ცხადი და ნათელი კრიტიკა და არა შარი, არა ქირდვა და ინტელიგენტური კბენა.

ვ. ი. ლენინი პარტიას ასწავლიდა, რომ იქ სადაც პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი კადრები შეასუსტებენ კავშირს ხალხთან, მოადუნებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს და ყურს არ მიუგდებენ მასების ხმას, გასაქანი ეძლევა უდისციპლინობის, წარსულის გადმონაშთების გამოვლინებას.

იმის გამო, რომ თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა მოწყვეტილი იყო მშრომელებისაგან, არ ესმოდა ხალხის მაჯისცემა, რესპუბლიკაში ფართო გასაქანი მიეცა მომხვეჭელობას, მექრთამეობას, უხეშ დარღვევებს პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობაში. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა მთელ ჩვენს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, ადამიანთა აღზრდის საქმეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ჭეშმარიტად დიდ ღონისძიებებს ახორციელებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის.

გაჯანსაღების პროცესი, რომელიც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, დიდ სტიმულს აძლევს პატიოსან ადამიანებს თავიანთ შემოქმედებით შრომაში ახალ მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ალხავსე შემოქმედებითი ენერგიით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ამისათვის მას აქვს ყველაფერი: მოწინავე საზოგადოებრივი წყობილება, მძლავრი ინდუსტრია და მაღალორგანიზებული სოფლის მეურნეობა, თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა, უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი, შესანიშნავი კადრები. ყველაფერი ეს კომუნიზმის გრანდიოზულ მიზანდასახულობათა განხორციელებას ხმარდება, რასაც ადასტურებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მასების დიდი შრომითი გაქანება — საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის განმტკიცებას ახალ სასიცოცხლო ძალას მატებს ლენინური პარტიის ყოველდღიური ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ხუთწლედის ოთხ წელიწადში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 15 პროცენტით და მეტად გაიზარდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 22 პროცენტით და მეტად. 80 მილიონზე მეტ კაცს მოემატა პენსია, დახმარება, სტიპენდია, მეცხრე ხუთწლედის დამდეგიდან 45 მილიონ კაცს გაუუმჯობესდა საბინაო პირობები, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რეალური შემოსავალი 19 პროცენტით გადიდდა; მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა 1974 წელს 88 მილიარდ მანეთს მიაღწია; მნიშვნელოვნად გაუ-

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

# ბამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გადავხედავთ ჩვენი დიადი ქვეყნის გეოგრაფიულ რუკას, ნათელი გახდება, რომ სსრ კავშირის აზიური ნაწილი ტრანსპორტის საშუალებებით ჯერ კიდევ ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიებზე ჯერჯერობით რკინიგზის მხოლოდ ერთი მაგისტრალი გადის, ისიც უკიდურეს სამხრეთით.

რკინიგზის ასეთ განლაგებას უწინ შეიძლება ნაწილობრივი გამართლება ჰქონდა, რადგან ცენტრალური და ჩრდილო ტერიტორიები თითქმის დაუსახლებელი და აუთვისებელი იყო.

ჩვენს ეპოქაში სურათი მკვეთრად შეიცვალა. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა ახალი სამრეწველო ცენტრები და კვანძები. გეოლოგებმა უზარმაზარ ტერიტორიებზე აღმოაჩინეს კოლოსალური სიმდიდრის წიაღისეული საბადოები. დღეისათვის მათი ათვისებისა და გამოზიდვის საკითხი პირველი რიგის პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ამ საბადოთა ათვისება ჯერჯერობით შეუძლებელია ტრანსპორტის არარსებობის გამო.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სარკინიგზო ხაზია. იგი ხელს შეუწყობს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ცენტრალური ნაწილის შემდგომ დასახლებასა და ათვისებას, ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას, მკვეთრად გააუმჯობესებს სატრანსპორტო პირობებს და ტვირთბრუნვას.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა უკვე დაიწყო ქალაქ უსტ-კუტიდან. ეს ქალაქი სამდინარო ნავსადგურია ლენაზე და სამდინარო გემთმშენებლობის ცენტრს წარმოადგენს. უსტ-კუტიდან მაგისტრალი გაემართება ბაიკალის ტბის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ნიჟნე-ანგარსკამდე და შემდეგ აღმოსავლეთით — წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე დიდ ნავსადგურ ამურის ნიკოლაევსკამდე. ახალი რკინიგზა იქნება ციმბირის თანამედროვე მაგისტრალის პარალელური ხაზი, რომელიც, ძველ ხაზთან შედარებით, გზას აღმოსავლეთ ციმბირიდან ამურის ნიკოლაევსკამდე 1000 კილომეტრით შეამცირებს.

ახალი მაგისტრალი ხელს შეუწყობს ნაოსნობის შემდგომ განვითარებას მდინარე ლენაზე და ტვირთბრუნვას ბაიკალის ტბაზე, შეუფერხებლივ მოამარაგებს რკინის მადნით, ქვანახშირით, ხე-ტყითა და სხვა მასალებით ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოებს, მნიშვნელოვნად გააძლიერებს წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურების ტვირთბრუნვას.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ ევროპის სახელმწიფოები ამჯობინებენ იაპონიასთან ვაჭრობა აწარმოონ სსრ კავშირის საშუალებით, კერძოდ ციმბირის მაგისტრალით. გამოირკვა, რომ აფრიკის გარშემო საზღვაო გზასთან შედარებით, ევროპისათვის ვაჭრობა უფრო მოხერხებული და იაფი ჯდება წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე საბჭოთა ნავსადგურების გამოყენებით; ამიტომ ახალ მაგისტრალს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ევროპის სახელმწიფოებსა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალი ერთ-ერთი უგრძესია მსოფლიოში. მისი სიგრძე იქნება 3 145 კილომეტრი, მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1982 წელს, ამიტომ მაგისტრალი ერთდროულად შენდება რამდენიმე უბანზე.

ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე აშენდება 200 სარკინიგზო სადგური და ასაქცევი, 142 დიდი და პატარა ხიდი, 25 კილომეტრი სიგრძის 4 გვირაბი. ციმბირის ძველი და ახალი მაგისტრალის შემაერთებელ ხაზზე მდებარე პატარა სარკინიგზო სადგურს სკოვოროდინოს ახლა ბამი ეწოდა.

ბამი საუკუნის მშენებლობაა. ის საყოველთაო-სახალხო მშენებლობის ობიექტად გადაიქცა. ბამზე შეფობა აიღო კომკავშირმა და გამოცხადებულია სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად. მოწინავე მშენებლებისათვის დაწესებულია სამკერდე ნიშანი „საპატიო ტრანსპორტის მშენებელი“.

# სახალხო მშენებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „დროშის“ კორესპონდენტი ოთარ დემეტრაშვილი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს არქიფო ლაბახუას და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე, რომლებიც ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობას შეეხება.




**— პატივცემულო არქიფო, ბამ-ის მშენებლობაში რა კონკრეტული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ბამი ჭეშმარიტად სახალხო მშენებლობაა. მას მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებს. ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვს აგრეთვე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შესახებ“, უაღრესად დიდი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. საქართველოს ბევრმა საწარმომ და ორგანიზაციამ სურვილი გამოთქვა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ბამ-ის მშენებლობას. ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე მოხალისედ წასვლის სურვილი გამოთქვა მრავალმა ახალგაზრდამ, რომელთა განცხადებები მოდის კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან საგანგებოდ შექმნილ შტაბში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების ინიციატივა და დათანხმდნენ მათ წინადადებას, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაში.

ამ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში გეგმაზომიერი და ორგანიზებული მონაწილეობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ჩამოყალიბდა რესპუბლიკური შტაბი. შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების პასუხისმგებელი ამხანაგები. შტაბის ხელმძღვანელი მე ვარ.

შტაბს დიდი ფუნქციები აკისრია. მან ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალზე საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ობიექტების მშენებლობას, ოპერატიულად გადაწყვიტოს ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობასთან, უხელმძღვანელოს მშენებლობის დაპროექტებას, მშენებლობაზე მუშებისა და სპეციალისტების გაგზავნას, სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ფორმირებას და სხვა.

ტრანსციმბირის რკინიგზის სადგურ უსტ-კუტიდან 102 კილომეტრის დაშორებით ტაიგაში მდებარეობს უკაცრიელი ტერიტორია, სადაც პირველმა ქართველმა მშენებლებმა უკვე დაიდეს ბინა.

მომავალი რკინიგზის მაგისტრალის ამ უბანზე მეტად მკაცრი ბუნებრივი პირობებია. ზამთარში ტემპერატურა 60 გრადუსამდე ეცემა. ზაფხული ცხელი იცის. ვერცხლისწყლის სვეტი ხშირად 40 გრადუსამდე ადის.

ტაიგაში მოჩუხჩუხებს პატარა მდინარე ნია, რომლის სახელი შეერქვა მომავალი მშენებლობის ამ უბანს.

ნიასთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ახლა მხოლოდ ვერტმფრენია.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ამ ტერიტორიაზე უნდა ააშენონ სარკინიგზო სადგური ნია და საცხოვრებელი დაბა, რომელიც 700-800 ადამიანისათვის არის გათვალისწინებული.

„თბილქალაქპროექტმა“ უკვე დააპროექტა მომავალი დაბა. პროექტი ჯერ ესკიზის სტადიაშია და შესათანხმებლად წარედგინა „ბამშენს“ და ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ნიაში აიგოს კოხტა საცხოვრებელი სახლები. აქვე აშენდება სკოლა 150 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაღი 90 ბავშვისათვის.

ქართველი მშენებლები დაბაში ააშენებენ პოლიკლინიკას, სავაჭრო-საზოგადოებრივ ცენტრს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსს, სპორტულ კომპლექსს საფეხბურთო მოედნით.

კაპიტალური ნაგებობების მშენებლობა ნიაში 1976 წლიდან დაიწყება, 1978 წლის დამდეგს კი ყოველგვარი სამუშაოები აქ უკვე დამთავრებული იქნება.

ნია-გრუზიანსკაიას მომავალ მკვიდრთ ყოველგვარი პირობები ექნებათ შექმნილი მოხერხებული ცხოვრებისათვის, ნაყოფიერი შრომისათვის, სწავლა-გართობისა და კულტურული დასვენებისათვის.

**— რა კეთდება რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის?**

— ამ რამდენიმე ხნის წინათ ნიაში იმყოფებოდა ქართველი სპეციალისტების ჯგუფი. ნიაში ჩავიდნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, საპროექტო ორგანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს წარმომადგენლები.

საგანგებოდ მივლინებული ჯგუფის ამოცანა იყო დაეზვერა მომავალი მშენებლობის ადგილი, დაეზუსტებინა ის პირობები, რომლებშიც მოუხდებათ ცხოვრება და მუშაობა ქართველ მშენებლებს. სპეციალისტების ჯგუფმა ირკუტსკის ოლქის პარტიულ, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად გადაწყვიტა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები. აქვე გაირკვა რა ადგილობრივი მასალები შეიძლება გამოვიყენოთ მშენებლობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ფორმირებას, რომელსაც „საქბამმშენი“ ეწოდა. მატარებელი დაკომპლექტდა კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, გამოცდილი მუშებით, სათანადო მექანიზმებით, ავტოტრანსპორტით და სხვა საჭირო მოწყობილობებით.

სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსია გამოცდილი სპეციალისტი ანზორ დვალიშვილი, მთავარი ინჟინერია ალექსანდრე ულუხანოვი, უფროსის მოადგილე — ნუგზარ მგელაძე.

ამ მატარებლის პირველი ჯგუფი 69 კაცის შემადგენლობით 26 მარტს გაემგზავრა უსტ-კუტში. სპეციალური სატვირთო მატარებლით გაიგზავნა მექანიზმები, მანქანები, სხვადასხვა

მოწყობილობები მშენებლობისათვის.

თოვლზე სახელდახელოდ გაკვალული ე. წ. „ზამთრის“ გზით ჩვენმა მშენებლებმა მოასწრეს მთელი ტვირთი ნიაში გადაეტანათ. ამჟამად თოვლი უკვე გადნა და ნიასთან კავშირი მხოლოდ ვერტმფრენითა და რადიოთი ხორციელდება.

საქართველოდან წარგზავნილი პირველი ჯგუფი ნიაზე დროებით ნაგებობების მშენებლობას აწარმოებს. მათ, ასე ვთქვათ, საფუძველი უნდა ჩაუყარონ ძირითადი ჯგუფის ჩამოსვლას: მომავალი მშენებლებისათვის უნდა ააგონ საცხოვრებელი ბინები და სხვა საჭირო მოწყობილობანი.

ძირითადი ჯგუფის ჩასვლა ნიაში აგვისტოსათვის არის გათვალისწინებული. ამ დროისათვის ყოველგვარი წინასწარი სამუშაოები უკვე დამთავრებული იქნება. გარდა ამისა, „ანგარსტროის“ ახლა ზვიოზდნიდან ნიასაკენ სწრაფი ტემპით გაჰყავს ფართო გზა. ეს გზა კი აგვისტოსათვის უკვე მზად იქნება.

ნიაში ჩვენი რესპუბლიკიდან 300 ადამიანი ჩავა.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ კიდევ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლებზე?**

— უპირველეს ყოვლისა ის, რომ ეს მამაცი ადამიანები განსაკუთრებული სითბოთი და ყურადღებით არიან მოსილნი.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს დაევალა სადღეღამისო საექიმო პუნქტი შექმნას საამშენებლო-სამონტაჟო მატარებელში. ნიაში უკვე არის ვაგონ-სამზარეულო, საშხაპეები, წითელი კუთხე...

პროფკავშირულ ორგანიზაციებს, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, კულტურის სამინისტროს, საზოგადოება „ცოდნას“ დაევალათ სისტემატური შეფობა გაუწიონ ნიას მშენებლებს. საქართველოდან წარგზავნილების წინაშე გამოვლენ ჩვენი გამოჩენილი მსახიობები, პოეტები, მწერლები. მოეწყობა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტები, ახალი კინოფილმების დემონსტრირება. ნიაში ლექციებითა და მოხსენებებით გამოვლენ ლექტორები.

პერიოდული პრესა, რადიო, ტელევიზია სისტემატურად გააშუქებს ჩვენი მშენებლების ცხოვრებას, შრომას, მიღწევებს.

და ბოლოს, მინდა ხაზი გავუსვა იმ დიდ სითბოს, გულისხმიერებას, მზრუნველობას, რასაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები იჩენენ ბამის მშენებლებისადმი.

საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე უწყვეტ ნაკადად მიდის წერილები, დეპეშები, ხილით, სხვადასხვა ნუგბარი სანოვაგით... 

# ყინული ლღვება

დილარ
ივარდავა



## ბამი

ბაიკალი, ამურეთი,
ერთი სიტყვით — ბამი,
ანგელოსის ტანი თეთრი
წევს დღითა და ღამით;
დაუმცხრალი, უწინ მშვიდი,
იწვის შექმნის ვნებით, —
მაგისტრალი, გზა თუ ხიდი,
მკერდგაფატვრა მთების —
რანაირად ჩვეულებრივი
გახდა ყოველ წამით;
საუკუნის მძლავრი ფრთებით
აშრიალდა ბამი.
ადრე გმირთა საპყრობილე,
ტრფობის ჰანგებს ისევს, —
ტრფობის ჰანგად
თავის შვილებს
უსმენსა და ისმენს.
ყველაფერი გასაგებად
ნათელია ამით,
რა იმსხვრევა, რა იგება,
რაზე ფიქრობს ბამი.
ადრე მარტო თუ ნადირთა
შეაკრთობდა ჩქამი,
დღეს სიცოცხლეს
იწყებს მითად
და ლეგენდად ბამი.
ბამი ახლა ზღაპარია,
ზღაპრულ ხომალდს მართავს, —
აქ ხომ ნაღდად მართალია,
საოცრება მართლაც.

## ჟოლა ლომთათიძე მელანდება

ორმოც გრადუსს აალწია ყინვამ,
ჰაერი კი წკრიალებს და ბოლავს,
ისმის ტყეში ფიჭვის ხეთა გმინვა
და ქარბუქი
ორმაგ სარკმელს ჭოლავს.
ვხედავ ამ დროს,
ვით გრძნეულის ხილვა,
სასტუმროში მეცხადება ჭოლა...
დაგლეჯილი ტანსაცმლით და ქუდით,
გაბურძგნული წვერითა და პენსნით,
მოუღრიალე, დაუანგული ხუნდით,
წინაპარო,
შენი ხმები მესმის!
დატანჯულო, წამებულო, ჩემო,
ყიამეთში გადმოეშვი როდის?!
რა მწკლარტე აქვს
წუთისოფელს გემო,
რა მძიმეა ის —
სიზიფეს ლოდი
თუმც გზა იგი
გაგივლია სწორად, —
ხალხს მსახურობ
უნაღდესი სიტყვით,
ეს ჭლექი და
ეს ხველება, ჭოლა,
გაცრეცილი სახე —
თეთრი მიტკლის,
თან გაჰყვება საუკუნის კივილს,
ვითარც ხვედრი
გულმართალი კაცის...
იმედების გაგფანტვია ტივი
და დგას შენთვის
კვლავ გოლგოთა ჯვარცმის.
თუმც ბოლომდე,
შენ ბოლომდე მაინც
აიტანე ზმანებები ავი, —
უსათუოდ
ამ მომავალ მაისს
მე მოგიტან ტაიშეტურ ყვავილს.

## გესიზმრება იმერეთი

ინჟინერ ანზორ ლილუაშვილს

შენი ეზო, შენი შუკა...
გესიზმრება იმერეთი —
დაგიხატავს ჩვენი რუკა,
ზედ დაგისვამს ვაზის ღმერთი.
თითქმის წელი გაფრენილა,
არ გინახავს შუა გორა,
გახსოვს შენი სოფლის დილა,
ცისფერ ნისლით ისევ ბოლავს.
მამაშენიც, ჩემო ანზორ,
შენზე ფიქრში ჩაძირულა.
— იყოს ზვიოზდნი აქვე, —
ბრაზობს, —
ან რიონთან,
ან ძირულას,
მოხუცს რაღა გამაჩერებს,
დავრჩე შვილის უნახავად?!
მაგრამ რა ვქნა ამ სიბერემ,
არ მინდა და
ხელმყო ავად.
...ჩემო ანზორ!
არ გჭირდება ვინმეს თხოვნა,
შენ შენი გზა უკვე ნახე
და გარდაცვლილ დედის ხსოვნას,
მწამს ანახებ მხოლოდ სახელს.
გავამხილო?
ქუთაისი გესიზმრება,
(ესიზმრები იქ ერთ ასულს),
ანზორ,
(რა ვქნათ, ასე ხდება,
არ ბარდება ტრფობა წარსულს).
...იცი ძმობა,
შრომის ყადრი,
შენი გულის ვიგრძენ სითბო, —
ვნახე ზვიოზდნში კაცი ნაღდი, —
არა გჯერათ?
წაბრძანდით და...
ნახავთ თითონ.

## ლეგენდა ბაიკალზე

ბაიკალი, თურმე კაცის სახელია. იგი მდიდარი ყოფილა. მას 333 ქალიშვილი ჰყოლია. ყველა ქალიშვილი, გარდა ერთისა, რომელსაც ანგარა რქმევია, მამის ნება-სურვილს უსიტყვოდ ასრულებდა. ანგარა კი ენისეიზე ყოფილა შეყვარებული და მალე მამის ოჯახიდან გაქცეულა და მზეჭაბუკ ენისეის შეუღლებია.

ტბა ბაიკალი, მართლაც, 332 დიდ და პატარა მდინარეს იერთებს. მისგან კი მხოლოდ ანგარა გამოედინება — იგი ენისეის უერთდება.

აი, ლამაზი ლეგენდა —
(სიმართლეცაა ეგება!)
ანგარას,
მოკამკამე ანგარას,
ენისეის ცოლობა ებედა.
მაგრამ მრისხანეა ბაიკალი,
თავისი 333
ქალიშვილის ნაწნავით.
და უცბად
ერთ ქალიშვილს
მამის გული არ იკარებს,
მამა შვილის ღალატითაა
დადაგულ-დამწვარი.
არადა
რა ექნა ანგარას,
სიცოცხლედ უღირდა
მზეჭაბუკი ენისეი ნამდვილად,
ხომ არ ჰყვარებია
იგი ანგარებით,
თუმცა კაცი
ყველაფერს იტყვის
მერე ადვილად.
მამამ ანგარა
სამუდამოდ დაწყევლა...
დაადევნა მდევარი და მარეკები,
როს ვერაფერს გახდა,
არც აცია, არც აცხელა,
ქვა ესროლა, ვეებერთელა ლოდი
მზეთუნახავს გამეტებით.
სიყვარული სასჯელი რად არის?!
მდინარესაც ჭორავს ხალხი —
რას მიხვდები.
არის ქვეყნად რაიმე, მართლაც,
ტრფობის ბადალი?!
ეს ლეგენდა პასუხია
ამ კითხვების.

უსტ-კუტი, ზვიოზდნი, თბილისი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავება





დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ოცდამეათე წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულზე თბილისში გაიმართა კავკასიის გმირული დაცვის დღეებში სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპული უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონია.

უცნობი ჯარისკაცი ქერჩის წმიდათაწმიდა სისხლით მორწყული მიწიდან ჩამოასვენეს.

თბილისამდე მთელ გზაზე, ყველგან, სადაც კი უსახელო ჯარისკაცმა გამოიარა — ლესელიძეში, სოხუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგები გაიმართა. მთელ ამ გრძელ გზაზე გამოფენილი ადამიანების ტალღა ქედს იხრიდა უცნობი ჯარისკაცის წინაშე. უცნობ ჯარისკაცს ყველა დასტიროდა როგორც დაღუპულ შვილს, მამას, ძმას, მეგობარს, სატრფოს; და როცა უცნობმა ჯარისკაცმა საქართველოს დედაქალაქში შემოაბიჯა, თბილისელები — მილიონი კაცი და ქალი მის დასახვედრად ქუჩაში გამოეფინა.

...მშრომელები, ინტელიგენცია, ჭაბუკები და ქალიშვილები უცნობ ჯარისკაცს გამარჯვების პარკისაკენ მიაცილებდნენ. დიდების დღეს, აქ, დიდების მემორიალის ძირას დამარხეს უცნობი ჯარისკაცი. საფლავს დაადეს შავი გრანიტის ფილა, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია: „არ ხარ უცნობი, სახელი შენი უკვდავებაა აწ და მარადის!"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მარადიული ცეცხლი აანთო.

მსუბუქი იყოს, ჯარისკაცო, შენთვის მიწა ქართული!

(დასასრული. იხ. გვ. გვ. 1-2)

მჭობესდა მშრომელთა შრომისა და დასვენების პირობები, გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

ჩვენს რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლები დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ძვრებით აღინიშნა. თუ 1972 წელს წარმოების მოცულობის ზრდის ტემპები სულ 0,5 პროცენტს შეადგენდა, შარშან სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 11,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომისნაყოფიერება — 9,5 პროცენტით; დიდი ძვრებია სოფლის მეურნეობის დარგშიც. 1974 წელს შესრულდა სახელმწიფოსათვის ჩაის, ციტრუსების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის და ყველა სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმა და ვალდებულებანი, სერიოზული წარმატებებია მოპოვებული კულტურისა და განათლების დარგში. 1973-1974 წლებში ჩვენმა რესპუბლიკამ ორჯერ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა ეს წარმატება, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის მიმართვაში პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, საბჭოთა ქალების, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობის, სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა შთაგონებული შრომის, კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია.

ლენინური პარტია, რომელიც თავის ყველა ჩანაფიქრსა და საქმეში ეყრდნობა მასების უსაზღვრო მხარდაჭერას, წარმატებით ახორციელებს ახალ რთულ ამოცანებს. ეს ამოცანები განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ. ამ ამოცანების განხორციელება, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება იქნება ახალი დიდი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე.

საყოველთაო-სახალხო, პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავი.

სოციალიზმის საზოგადოებრივი სისტემა, მისი ეკონომიური და ორგანიზაციული შესაძლებლობანი, საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, მათი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, — აი ის მთავარი ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრეს საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებმა — ცნობამ პარტიის მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ.

ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, ფართო ხასიათი მიიღო მშრომელთა თაოსნობებმა. ჩვენი ხალხის შრომითი ენთუზიაზმის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო ტრადიციული ლენინური შაბათობა, რომელმაც წელს განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა და ფართო გაქანება მიიღო.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ვალდებულებაა კიდევ უფრო მაღლა ასწიოს სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულოს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საწარმოო გეგმები, ახალი წარმატებებით შეხვდეს მეათე ხუთწლედს, პარტიის XXV ყრილობას.

საბჭოთა ქვეყნის მთელი ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ შრომასა და ბრძოლაში, სიხარულისა და მკაცრი განსაცდელის დღეებში ლენინური პარტია ყოველთვის ხალხთან არის, რომ მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება მისი პოლიტიკის უმაღლესი მიზანია. პარტიამ ხალხისადმი უანგარო სამსახურით მოიხვეჭა მისი სიყვარული, აღიარება, ნდობა. უსაზღვროა პარტიის ავტორიტეტი. სოციალიზმისათვის ათეული წლების ბრძოლით გამოჭედილი და ნაწრთობი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა პარტიისა და ხალხისა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. ყოველივე ეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წყობილების ძალისა და უძლეველობის წყაროა. ლენინური პარტია უძლეველია იმიტომ, რომ იგი ერთგულია თავისი დედის — ხალხის მასებისადმი, სანამ მას კავშირი აქვს მასებთან, ყველა შანსი აქვს იმისა, რომ უძლეველი იქნეს!

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა წარმოადგენს იმ უძლეველ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენებას, რაც კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უდიდესი გამარჯვება იქნება.

# ღვინო მანავისა კეთილი...

## ცოტა რამ წარსულიდან

დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა „დამპალოს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ არს, პერეთის მთის ძირს, მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმანყულიხან, მთის ძირად არს ძველადი ციხე აწ შემუსვრილი“...

მეფის სუფრაზე შემოდგომით სხვა ღვინო არ იხმარებოდა, თუ არა მანავისა. დღესაც შერჩენილი აქვს სახელი „მეფის ზვარი“ ერთ საუკეთესო მამულს მანავში, რომლის მსგავსი თეთრი ღვინო კახეთში ორგან არ მოიპოვება, — წერდა „ივერია“.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი „მეფის ზვარი“ ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში თბილისელმა სირაჯმა ბებუთოვმა. მანავის საუკეთესო ვენახები ე. წ. „ბერების ზვარი“ კი გირაოში თითქმის მუქთად დარჩა სირაჯ ენფიანჯიანს. მალე მანავში გამოჩნდა ვინმე იაგორ ფრიდონოვი, რომელმაც სულ რაღაც 2.500 მანეთად შეიძინა მანავის მამულები და კაპიტალისტური მეურნეობა მოაწყო.

## თავკაცი

მანავის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გუგული ჯიმშელაძე ახალგაზრდა კაცია.

კაბინეტში ვსხედვართ. ვსაუბრობთ.

— შეიძლება?

— მობრძანდით.

საუბარი წყდება. კაბინეტში მეურნეობის მთავარი აგრონომი შემოდის. ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ მათი საუბარი მაინც გაუგებარია ჩვენთვის: რაღაც ციფრებს, რაღაც პროცენტებს, რაღაც გეოგრაფიულ ადგილებს ახსენებენ. გავა მთავარი აგრონომი, საუბარს ისევ ავუბამთ მხარს და...

— შეიძლება?

— მობრძანდით.

ახლა ტრაქტორისტი შემოდის კაბინეტში. ტრაქტორისტს ბრიგადირი მოსდევს. მერე კაბინეტში ხან მექანიზატორი შემოვა, ხან მევენახეთა განყოფილების გამგე, ხან ვილაც მომჩივარი...

ათასი საქმე, ათასი წვრილმანია მოსაგვარებელი!

დირექტორი საოცრად უშუალო და უბრალო კაცია. საუბრობს, ხმას უწევს თუ ცხარობს — ყოველთვის ერთნაირად თავდაჭერილია, ერთნაირად გულითადი და ბუნებრივი.

მთავარი მაინც საქმეა! თავკაცი ტელეფონით რეკავს, მოსულებს დავალებებს აძლევს, ჩაფიქრდება და გადაწყვეტილებებს იღებს, შესათანხმებელ საკითხებს ათანხმებს, მოსაგვარებელს აგვარებს. ის, რისი მოგვარებაც აქ, კაბინეტში შეუძლებელია, გუგული ჯიმშელაძე პატარა, ოთხკუთხედ ქაღალდზე იწერს და თვალნათელი რომ იყოს, მაგიდაზე დებს.

აქამდე გაუგებარი რაღაც ციფრები, რაღაც პროცენტები, რაღაც გეოგრაფიული ადგილები ჩვენთვის თანდათან ნათელი ხდება. და ჩვენ გვიკვირს, რომ ამ კაცმა, რომელიც ჯერ ორი წელი არც არის რაც საბჭოთა მეურნეობაში მოვიდა, უკვე ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრო.

მაგიდაზე კი სულ უფრო მრავლდება პატარა, ოთხკუთხედი ქაღალდები.

ორიოდე საათის შემდეგ, როცა დირექტორმა კაბინეტიდან გამოგვაცილა, მისი სამუშაო მაგიდა პირწმინდად იყო დაფარული პატარა, ოთხკუთხედი ქაღალდებით.

## ორმოცი ჰექტარი

ბუნებამ ასე ინება: ერთსა და იმავე სოფელში, ერთსა და იმავე კლიმატურ და რელიეფურ პირობებში ზოგჯერ ერთ პატარა, თვისობრივად განსხვავებულ მონაკვეთს გამოყოფს ხოლმე. ამ მონაკვეთში ნიადაგს სულ სხვა სტრუქტურა აქვს, სულ სხვა შემადგენლობა, ყურძენიც განსხვავებული მოდის და, ცხადია, ღვინოც განსხვავებული დგება. ასეა „ხვანჭკარა“, ასეა „ქინძმარაული“, ასეა „ჩხავერი“, ასეა „მანავიც“...

მთაზე აზიდული ნათლისმცემლის ეკლესია და მანავის ციხის ნანგრევები ხელისგულივით დაცემულ თვალუწვდენელ ტერიტორიას გადმოსცქერის. ამ ტერიტორიას ვიწრო ზოლად მიუყვება ის პატარა, თვისობრივად განსხვავებული მიკრორაიონი, რომელზეც გამორჩეული მანავის მწვანე ხარობს.

მართლაც რომ საოცარია! ადგილიც ერთია, ჰავაც ერთია, ნიადაგიც თითქოს ერთნაირია, მაგრამ აქ, ამ მიკრორაიონში მოწეული ყურძნიდან დაყენებულ ღვინოს მაინც სულ სხვა ბუკეტი აქვს, სხვანაირი არომატი!

1921 წელს, როდესაც მანავის საბჭოთა მეურნეობა დაარსდა, ვაზი საკმაოდ მობერებული და დაავადებული იყო. ვენახების განახლება ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა უსისტემოდ, თვითდინებით, ჯიშთა დაცვის მკაცრი მომთხოვნელობის გარეშე.

აი, სწორედ ამან გამოიწვია ის სავალალო მდგომარეობა, რომელიც ამჟამად მანავში გვაქვს.

საბჭოთა მეურნეობის თვალუწვდენელ ზვრებში მანავის მწვანეს თანდათან შეერია სხვა ჯიშის ვაზი. მიკრორაიონშიც მნიშვნელოვნად შემცირდა სუფთა კახური ჯიშის — მანავის მწვანის ხვედრითი წილი.

მდგომარეობის გამოსწორება ერთი ხელის დარტყმით შეუძლებელია. იმ მოტივით, რომ მანავში მხოლოდ მანავის მწვანე უნდა გავახაროთ, ვერც ზვრებში შერეულ რქაწითელს ამოძირკვავ და ვერც, ვთქვათ, გალაღებულ და სრულმოსავლიან გორულ მწვანეს.



ტრაქტორისტი შალვა ტატაძე.



მეურნეობის დირექტორი გუგული ჯიმშელაძე და მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ქავხიშვილი.

გამოსავალი სხვაგან უნდა ვეძებოთ და გუგული ჯიმშელაძემ მიაგნო ამ გამოსავალს.

გულმოდგინე ძიებითა და ნიადაგის ქიმიური ანალიზით დადგინდა, რომ აქამდე უყურადღებოდ მიგდებული ნაკვეთი, რომელიც ძეძვიანითა და ეკალბარდებით იყო დაფარული, თურმე ნუ იტყვით, იმ ძვირფასი მიკრორაიონის გაგრძელებას წარმოადგენს, სადაც წმინდა მანავის მწვანე შეიძლება გავაშენოთ.

აგუგუნდნენ ტრაქტორები. გაუვალი ძეძვიანით დაფარულ ორმოც ჰექტარ ფართობს საბჭოთა მეურნეობის მუშები შეესივნენ.

საქმეს ამთავითვე უყვარს თადარიგის დაჭერა. ნიადაგის მომზადება ერთია, მაგრამ ნერგი?

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ფეხდაფეხ შემოიარეს თითოეული კომლი. ეზო-ეზო, ვენახ-ვენახ შემორჩენილი მამაპაპური წმინდა მანავის მწვანის ყოველი ძირი აღნუსხეს და ნიშანი დაადეს.

დიდი საქმე კეთდებოდა და მათ მთელმა სოფელმა აუბა მხარი: ქევხიშვილებმაც, ბორაშვილებმაც, ფეიქრიშვილებმაც... შემოდგომაზე, როცა თავიანთ ვენახებში რთველი ჩაათავეს, გლეხებმა ნიშანდადებულ ვაზებზე კვირტები ააჭრეს და სანერგე მეურნეობას ჩააბარეს.

ახლა ნიადაგიც მზად არის და საჭირო ნერგიც.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი მანავის მწვანის დიდი აღორძინების წელიც იქნება!

## სოფელი დიდი ძალაა!

შალვა ტატაძე მოწინავე ტრაქტორისტია. გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს და პატიოსანი ვაჟკაცის სახელიც აქვს დამკვიდრებული.

ერთ მშვენიერ დღეს, აქედან იყო, თუ იქიდან იყო, შალვამ ყური მოჰკრა, რომ მამამისი, რომელიც დიდ სამამულო ომში დაიღუპა, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ სოფელში იყო დაკრძალული.

აბა რა გული გაუძლებდა ბიჭს! ადგა და ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა მინიშნებული კუთხე. მოიარა და აკი მიაგნო კიდეც მამის საფლავს.

ზარითა და ზეიმით ჩამოასვენეს ზაქარია ტატაძე მანავში, შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართულ მონუმენტურ ობელისკთან დაკრძალეს.

ეს ობელისკი საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ინიციატივითა და მთელი სოფლის მხარდაჭერით აშენდა. და განა მარტო ეს! საბჭოთა მეურნეობა ორ სოფელს აერთიანებს — მანავსა და თოხლიაურს. თოხლიაურშიც აიგო ობელისკი.

მანავში ორიოდე წლის წინ ვიყავი. კარგად ვიცნობ მანავსაც და თოხლიაურსაც, მაგრამ მაშინ არც ეს კოხტა სტადიონი მინახავს და არც გზის გასწვრივ ჩარიგებული საჩრდილობლები.

სოფლების კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გაკეთებულა. აი, თუნდაც ეს ლამპიონები. ცენტრალურ გზაზე ჯაგის ღობეები აუღიათ და რკინის ბადურებიანი ღობეები ჩაუმწკრივებიათ. სამი ახალი წყარო მოჩუხჩუხებს სოფლებში. გზადაგზა გემოვნებით შესრულებული ლოზუნგებია გამოკრული.

საბჭოთა მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მეძროხეობის ახალი ფერმა, მწყობრში ჩადგა ახალი საბავშვო ბაღი, საცაა ხარაჩოებს ჩამოხსნიან ადმინისტრაციული სახლის კოხტა შენობას...

და კიდევ რომელი ერთი მოთვალოს კაცმა!

საცა დაინტერესებაა, საცა წახალისებაა — იქ ყველაფერი კეთდება. სოფელს არაფერი გამოეპარება: თუ შეგატყო, რომ გულითა ხარ მოწადინებული, თუ თავისად გცნო, თუ ფხა და უნარი შეგატყო — მთელი სოფელი ამოგიდგება მხარში.

სოფელი კი დიდი ძალაა!

## ციფრები

ეკონომისტებს მშრალი ციფრები უყვართ. მოდით, მოვიშველიოთ ეს ციფრები:

მანავის საბჭოთა მეურნეობას შარშან გეგმით 3.200 ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინა. 4.700 ტონა ჩააბარა. ჰექტარზე გადაანგარიშებით 42 ცენტნერის ნაცვლად 56 ცენტნერი ყურძენი აწარმოეს.

წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

1973 წელს მეურნეობას 150 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდა, 1974 წელს კი მოგებამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა. მატერიალური წახალისების მიზნით, შარშან მეურნეობაში 250 ათას მანეთამდე პრემია-დანამატი გაიცა, რამაც გააუმჯობესა შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა დისციპლინა.

თავი და თავი მაინც ყურძენია!

კარგად მოვლილი ზვარი არა მარტო უხვ მოსავალს იძლევა, არამედ ყინვასაც და ავადმყოფობასაც უკეთესად უძლებს.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის მთელი ენერგია და გულისყური ახლა ძირითადად იქითკენ არის მიმართული, რომ ტოოლად და მაღალხარისხოვნად ჩატარდეს ვენახების აღდგენა-ფორმირება.

უკანასკნელ ხანებში მეჩხერიანობა აქ 33 პროცენტიდან 26 პროცენტამდე შემცირდა. აღდგენილია 600 ჰექტარი ზვარი.

წინ კიდევ უფრო დიდი და მძიმე სამუშაოებია.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საბჭოთა მეურნეობამ გეგმით 4.378 ტონა ყურძენი უნდა აწარმოოს.

სიტყვას შესრულება უნდა! მანაველი შრომელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ პირნათლად გაანაღდონ თავიანთი კაცური სიტყვა.

ბინდდება. ორიოდე დამატებითი ცნობის ასაღებად და გამოსამშვიდობებლად ისევ საბჭოთა მეურნეობის დირექტორის კაბინეტში ვბრუნდებით.

გუგული ჯიმშელაძე მუშაობს. მაგიდაზე მხოლოდ ერთადერთი, პატარა, ოთხკუთხა ქაღალდილა დევს.

— დანარჩენი? — ვკითხულობთ დაინტერესებით.

— ყველაფერი მოგვარდა, — გვეუბნება დირექტორი და ერთადერთ ოთხკუთხა ქაღალდს დაჰყურებს, — ამის მოსაგვარებლად კი დილით თბილისში მომიხდება წასვლა.

ჩვენ ვიცით, რომ დირექტორი მალევე უნდა ამობრუნდეს ქალაქიდან. პირველ საათზე თათბირი აქვს მოწვეული.

**გიორგი ნასყიდაშვილი**





ზემოთ — მექანიზატორები დილის დაგეგმვაზე.
ქვემოთ — კომკავშირული რგოლის მერგოლური თინათინ ჩერქეზიშვილი.

# ნიკოლოზ ქაკია



ჰენრი კობიძე

1964-65 წლებში გაცხოველებით მიმდინარეობდა თბილისის მეტროს პირველი რიგის დამამთავრებელი სამუშაოები დიდუბიდან რუსთაველის მოედნამდე.

გვირაბმშენებლებს მოულოდნელად სერიოზული წინააღმდეგობა გადაეღობა წინ. სადგურ „ვაგზლის მოედანზე" მშენებლობა საგრძნობლად შეაფერხა აგრესიულად მოქმედმა მიწისქვეშა წყლებმა. ამ წყლებმა გამოიწვიეს გაძლიერებული ფილტრაცია, რის გამოც სადგურის გვირაბების მშენებლობისას ბეტონის სიმტკიცე მცირდებოდა და კედლები ტენს ვერ იჭერდა.

შექმნილი ვითარების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს საკავშირო „მთავრგვირაბმეტრომშენის" სამმართველოს და დახმარება სთხოვეს. მოსკოვიდან ასეთი პასუხი მოვიდა: ამჟამად თბილისში იმყოფება ნიკოლოზ ქაკია და იმას მიმართეთ, აუცილებლად დაგეხმარებათო.

სულ მალე თბილისის მეტრომშენებელთა დასახმარებლად მოვიდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი სპეციალისტი გვირაბების გაყვანის საქმეში ნიკოლოზ ქაკია. მან გულდასმით შეისწავლა „ვაგზლის მოედნის" მშენებლობაზე შექმნილი ვითარება. გამოცდილი სპეციალისტის დაკვირვებისა და მეცნიერული დასკვნის საფუძველზე უბანზე მთელი რიგი ტექნიკურად ახალი ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ჩატარდა. ნიკოლოზ ქაკია ერთთავად მშენებლებს დასტრიალებდა თავს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამუშაოებს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს — მთლიანად იქნა ლიკვიდირებული წყლის გაჟონვა სადგურის გვირაბებში. სადგურის მშენებლობა დროულად და წარმატებით დაგვირგვინდა.

ერთხელ ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია უბანს, გაეცნო კოლექტივის საქმიანობას, შემდეგ კი მშენებარე სადგურის დათვალიერება მოიწადინა.

მიწისქვეშა ვესტიბიულში გვირაბგამყვანის სპეცტანსაცმელში გამოწყობილ, ჭაღარა ჩვეულებრივ კაცს მარილის ფილებზე ნახაზები გაეშალა და გარშემოხვეულ მშენებლებს რაღაცას უხსნიდა.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა კორესპონდენტმა.

— ჩვენი სამმართველოს მთავარი ტექნოლოგი გახლავთ, — მიუგო თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვიქტორ გოცირიძემ, — სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ნიკოლოზ ქაკია...

კორესპონდენტმა ცნობისმოყვარეობით იკითხა:

— ეს ის ქაკია ხომ არ არის, წლების მანძილზე რუსეთში რომ მუშაობდა? — და მან ნიკოლოზ ქაკიას ხელმძღვანელობით აგებული რამდენიმე გრანდიოზული ობიექტი დაასახელა.

— დიახ, — დაუდასტურეს მშენებლებმა.

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, თუ ასეთი მაღალი ჯილდოები ჰქონდა მიღებული... საერთოდ, ჩვენში ერთობ ცოტა რამ იციან ამ კაცის შესახებ.

...არიან გამორჩეული ადამიანები, რომელთა შესახებ თითქმის არაფერი იწერება პრესაში. თუმცაღა პარტია და მთავრობა სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის მათ მაღალ ჯილდოებს ანიჭებენ...

დიახ, არიან ასეთი ადამიანები.

ამჟამად სამოცდამეცხრე წელს არის მიტანებული ნიკოლოზ ქაკია, კაცი, რომლის შრომითი ბიოგრაფია, ალბათ, ტომებს მოიცავს. იგი ახლაც დაუღალავად, ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საქვეყნო საქმეს.

ნიკოლოზი ფოთში დაიბადა, მოსამსახურის ოჯახში. ფოთის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში სწავლობდა. 1931 წელს წარჩინებით დაამთავრა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი და 1933 წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობდა. ამავე წელს მოსკოვს გაემგზავრა და მეტროპოლიტენის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. ჯერ ცვლის ინჟინერი იყო, შემდეგ უბნის და გაერთიანებული შახტების უფროსი. ნიკოლოზის მონაწილეობით აიგო მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურები: „მაიაკოვსკი", „პაველეცკაია", „ლერმონტოვი"...

დიდი ინჟინრული ნიჭი, უნარი და ალღო გამოავლინა ნიკოლოზ ქაკიამ და თავისი ხელწერა დატოვა სამამულო მეტროს მშენებლობაში.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ვაგზლის მოედნის" მშენებლობა ზღვაში წვეთია იმ გრანდიოზულ ნაგებობებთან შედარებით, რომლებიც ნიკოლოზ ქაკიას ხელმძღვანელობით აგებულა საბჭოთა კავშირში თუ საზღვარგარეთ.

სამამულო ომის წლებში ნიკოლოზ ქაკია იყო მთელი რიგი უდიდესი მასშტაბის, უნიკალური მიწისქვეშა კომპლექსური ობიექტების მშენებლობის ორგანიზატორი

## ჩვენი თანამემამულენი

და შესაბამისი სამმართველოს უფროსი. ამ დროს იგავე II რანგის გენერალ-დირექტორია. ნიკოლოზ ქაკიას ხელმძღვანელობით აიგო მოსკოვისა და კუიბიშევის განსაკუთრებული თავდაცვითი მნიშვნელობის ურთულესი ობიექტები.

შემდეგ ნიკოლოზ ქაკია ხელმძღვანელობდა შავი ზღვის სანაპიროს სარკინიგზო გვირაბების მშენებლობას.

1949 წელს ნიკოლოზ ქაკიას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს. ამავე წელს გახდა იგი პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე 1960 წელს გავიდა (როგორც მძიმე, მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული), კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობდა სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობას.

მეტროპოლიტენის, სარკინიგზო გვირაბებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობებზე, მექანიზაციისა და საწარმოო მეთოდების დარგში ნიკოლოზ ქაკიას მიერ განხორციელდა და დაინერგა ახალი საინჟინრო-ტექნიკური ამოცანები, რომლებიც ამჟამად წარმატებით გამოიყენება რთული მშენებლობების პრაქტიკაში.

1964 წლიდან ნიკოლოზ ქაკია „თბილგვირაბმშენის" სამმართველოში მთავარი ტექნოლოგია. 1966 წელს მას ლენინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

1969 წლიდან ნიკოლოზ ქაკია ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსია. ჩვეული შემართებით უძღვებოდა ჩვენი რესპუბლიკის ამ უდიდესი ობიექტის მშენებლობას. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ პერიოდში არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი...

1972 წლამდე დაჰყო ნიკოლოზ ქაკიამ ენგურჰესის მშენებლობაზე, შემდეგ კი...

— მიწისქვეშეთში მომუშავე კაცი ფიზიკურად მაგარი აგებულებისა უნდა იყოს. ადრე ხშირად მიხდებოდა დაძაბულ ვითარებაში საქმიანობა, წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი 220-ათას კაციან კოლექტივს, მაგრამ დროებით ჯანმრთელობამ მიღალატა, ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირდა... საქმეს ჩამოვშორდი... — იგონებს ამაგდარი ინჟინერი.

...თითოეული თბილისელი თვალნათლივ ხედავს, თუ როგორ მკვეთრად იცვლის იერს ჩვენი დედაქალაქი. აი, თუნდაც რიყის უბანი. გაქრა ძველი სახლები, ტალახიანი ფლორეცები და ქუჩაბანდები. მალე აქ ლამაზი სანაპირო გადაიჭიმება. მეტეხთან კი თბილისელი მეტრომშენებლები საქმიანობენ. პიტალო მთის ქვეშ გაჰყავთ 1 600 მეტრი სიგრძის ორი პარალელური საავტომობილო გვირაბი, რომლებიც ორმხრივი მოძრაობისათვის არის გათვალისწინებული. მის გაგრძელებაზე კი ვ. წ. „გოგილის აბანოდან" ორთაჭალესამდე ესტაკადა და სანაპირო მაგისტრალი იგება. მეტრომშენებლებთან ერთად საქმიანობენ სხვა ორგანიზაციათა კოლექტივებიც, რომლებსაც ესტაკადის სრულყოფა და მაგისტრალის კეთილმოწყობა აქვთ დაკისრებული.

დღეს ამ მნიშვნელოვან ობიექტზე მთავარი კონსულტანტად ნიკოლოზ ქაკია. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებული და ამიტომ ლასტრიალებს თავს მშენებლებს — მისი კონსულტაციით და უშუალო მონაწილეობით წარმოებს სამთო-გაყვანითი სამუშაოები, გვირაბების ჰიდროიზოლაცია, მტკვრის სარეცხი კედლის და ესტაკადის აგება, გახანაცვებელი კვანძის მოწყობა, პორტალების მშენებლობა.

ყოველდღე დილაადრიან მიდის კონსულტანტი უბანზე და გვიანობამდე გვირაბებში ტრიალებს.

საპატიო ვალდებულება იკისრეს მშენებლებმა — მეტეხის საავტომობილო გვირაბები თავისი ესტაკადითა და მაგისტრალით ახლო მომავალში ჩააყენონ მწყობრში!

და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ნაგებობით უნდა დაამშვენონ ჩვენი დედაქალაქი მომავალში თბილისელმა მეტრომშენებლებმა. ამ საპატიო საქმეში კი თავისი წვლილი შეაქვს ღვაწლმოსილ ადამიანს, სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, ლენინის ორი, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის", სამამულო ომის I ხარისხის ორდენებისა და მრავალი მედლის კავალერს, საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერს ნიკოლოზ ქაკიას.



# თამარ ჯაფარიძე

1943 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარებმა გმირული ბრძოლებით გაანთავისუფლეს დონბასი.

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყნის მრეწველობას სამხედრო ტექნიკით ფრონტის შეუფერხებელი მომარაგებისათვის დიდი რაოდენობით ესაჭიროებოდა ქვანახშირი. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო საგანგებო ზომები: გამოცდილ სპეციალისტებს დაევალათ უმოკლეს დროში აღედგინათ დანგრეული და დატბორილი შახტები, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, სწრაფად უზრუნველეყოთ დონბასის ქვანახშირით ომის რელსებზე გადასული სამამულო მრეწველობა.

და აი, დონბასის განთავისუფლებიდან ორი დღე არც იყო გასული, როცა ნანგრევებად ქცეულ მაღაროელთა ქალაქ გორლოვკაში ჩავიდა ჩვენი თანამემამულე თამარ ჯაფარიძე, რომელიც მთავარ ინჟინრად და აღდგენითი სამუშაოების უფროსად დაინიშნა.

თამარმა 1937 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტი.

თამარ ჯაფარიძემ მტკიცედ გადაწყვიტა მაღაროში ემუშავა. მას სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო: ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიის განვითარება დიდძალ კვალიფიციურ კადრებს მოითხოვდა.

სად არ ყოფილა თამარი! იგი ჩვეული გატაცებით იძიებდა „შავ ოქროს" საქართველოში, მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო ექსპედიციებში: კამჩატკაზე, ურალზე, სახალინზე, იაკუტიაში, ყარა-ყუმში...

ომის ბობოქარ დღეებში იგი კვლავ დონბასშია. გერმანელმა ფაშისტებმა უკან დახევისას ნიკიტოვკის № 4/5 მაღარო ააფეთქეს და წყლით ამოავსეს. აღდგენით ჯგუფს ენით აუწერელ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. მაღაროების გაწმენდა, ახალი ტექნიკის დანერგვა, წიაღისეულის მოპოების სწორი ორგანიზაცია დაძაბულ ფიქრს, შემოქმედებით მიდგომას, დღისა და ღამის გასწორებას მოითხოვს.

დრო კი არ ითმენს. ბერლინისაკენ დაძრულ საბჭოთა არმიას დახმარება სჭირდება!

გამხდარმა, საშუალო ტანის ქართველმა ქალმა ომის ამ მძიმე დღეებში თითქმის შეუძლებლის გაკეთება შეძლო. მისი ხელმძღვანელობით ნიკიტოვკის მაღაროების აღდგენა ვადაზე თვენახევრით ადრე დამთავრდა.

გავიდა წლები. ქვეყანამ ომით მიყენებული ჭრილობები მოიშუშა. მაგრამ დონბასელებს როდი დაივიწყებიათ თამარი. გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში თამარის ყოფილმა მეგობრებმა, თანამებრძოლებმა კოლექტიური ბარათი გამოგზავნეს, სადაც გულთბილ მადლობას უხდიან ქართველ სამთო-ინჟინერ ქალს. ნიკიტოვკის გაზეთი „კაჩეგარი" კი ყოველ დღესასწაულს სიყვარულით ულოცავს თბილისში მცხოვრებ თამარ ჯაფარიძეს.

მზია ზაქარიაძე

# წარწერა ხეზე

გიორგი გიგაური

ომის ექომ მდინარე ივრის ხათავეებამდეც მოაღწია. გაცრიატდა სოფლები, მთა-ბარსაც სხვა ელფერი დაედო. ვაჟკაცები ფრონტზე გაიკრიფნენ, სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი მოხუცებისა და ბავშვების ხელებს შემყურებდა. მათ მიანდეს ზურგის სიმტკიცე.

მაშინ თიანეთის რაიონის ტუშურების საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. გაკვეთილების შემდეგ ძროხებს ვმწყემსავდი. ისე დღე არ გავიდოდა, რომ წყაროთგორაზე არ ავსულიყავით და არ გვენახა თეთრი არყის ხე, რომლის ტანზე ამოჭრილი იყო ავადმოსაგონარი თარიღი: „1941 წელი, 22 ივნისი"...

ეს წარწერა ჩვენმა უფროსმა მეგობარმა იოსებ ბაჩანაშვილმა გააკეთა ამ თეთრ, ლამაზ ხეზე. ჩვენს თვალწინ გამოჰყავდა ასოები და გვეუბნებოდა:

— მე მალე ფრონტზე წავალ. სახსოვრად გიტოვებთ ამ წარწერას. ვიცი, არ დამივიწყებთ, არც თქვენა და არც არყის ხე...

ლამეც არ გვქონდა მშვიდი. მასწავლებლებთან ერთად ვმორიგეობდით სკოლაში, სასოფლო საბჭოში, ფოსტაში. კარგად არც კი ვიცოდით, რა დროს რა უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ მაინც თეთრად ვტეხდით ღამეებს. ისე რომ, ჩვენც ომის სუნთქვაში ვიყავით ჩართული, მებრძოლთა ცხოვრებით ვცხოვრობდით. მათზე ფიქრი მძიმე ტვირთად გვეკიდა სუსტ მხრებზე.

ყველაზე ბედნიერები მაშინ ვიყავით, როცა ღირსეულ საჩუქრებს შევაგროვებდით, შევფუთავდით და მოკითხვის ბარათებთან ერთად ვუგზავნიდით სამშობლოს დამცველებს. ეს ამბავი ტრადიციად იქცა და ამანათი ამანათს მისდევდა ფრონტისაკენ.

მერე უფრო დიდი საქმე წამოიწყეს მთიელმა კოლმეურნეებმა: შრომით დანაზოგს ალარავინ ზოგავდა, ოღონდ კი გამარჯვება დაეახლოვებინათ.

ერთ დღეს ხმა გავარდა: გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დიდძალ ფულს აგროვებენ, თვითმფრინავი უნდა ააგონო.

დავინტერესდით. თავი მოვიყარეთ და პიონერხელმძღვანელმა გუდანელებში მიგვიყვანა. მაშინ ვნახე პირველად თავდაცვის ფონდში საკუთარი შრომითი დანაზოგის შეტანის ინიციატორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილიკო ჰინჩარაული. იგი ყველას გვიღიმოდა, გვაიმედებდა, დინჯობდა, ყოველი ნაბიჯი გამოზომილი ჰქონდა.

კოლმეურნეობაში დიდი ფუსფუსი და მისვლა-მოსვლა იყო. ქალებს ფული შალის ტოტში გამოეკრათ და ისე მოჰქონდათ, კაცებს კი ვეება სათუთუნეები დაეტენათ ფულით.

ფართო მაგიდასთან რამდენიმე კაცი იჯდა. ჩხაკუნობდნენ საანგარიშოები, ითვლებოდა და იკეცებოდა მშრომელთა დანაზოგი. სიამოვნებით გამოწვეულ ღიმილს ველარ ფარავდნენ კოლმეურნეობის თავკაცები.

ილიკო ჰინჩარაული იმ ქარცეცხლიან დღეებს როცა გაიხსენებს, იტყვის ხოლმე:

— ქართულმა ანდაზამ — გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, თავის აზრი დაკარგა სამამულო ომის დროს. როცა მტერი კავკასიონს მოადგა, ხალხიც კლდესავით მაგარი გახდა. პოეტის თქმისა არ იყოს, მათ საკუთარი მკერდით შეკრეს დერბენტი და დარიალი.

ჩვენი პატარა კოლმეურნეობიდან 54 ვაჟკაცი იბრძოდა ფრონტზე. შვილების მამაცობით ამაყობდნენ გულმართალი მთიელები, ამაყობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი წვლილიც ყოფილიყო მტერზე გამარჯვებაში. 1943 წლის დასაწყისში, სახელდახელოდ მოწვეულ კოლმეურნეთა მიტინგზე გადავწყვიტეთ, ავიაესკადრილიის აგებაში მიგველო მონაწილეობა. შევაგროვეთ და სახელმწიფო ბანკში შევიტანეთ 188 ათასი მანეთი. რამდენიმე თვის შემდეგ კი სატანკო კოლონის აგებისათვის 100 ათასამდე მანეთი გადავრიცხეთ...

ამ თანხიდან მნიშვნელოვანი წილი ილიკო ჰინჩარაულის ანგარიშზე მოდიოდა, მისი პირადი დანაზოგი იყო. ილიკო ჰინჩარაულმა მალე უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის დეპეშა მიიღო:

„გმადლობთ ილია დავითის ძევ, თქვენ და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს წითელი არმიის საჰაერო და ჯავშანსატანკო ძალებზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა".

ილიკო ჰინჩარაულთან ერთად გამარჯვების ციხესიმაგრეზე თავიანთი კენჭები რწმენით დააწყეს ლევან ბურდულმა, იოსებ წიკლაურმა, გიორგი ჰინჩარაულმა, გიგა წიკლაურმა და ბევრმა სხვამ. ყველას პირზე ეკერა გუდანელების კოლმეურნეობის წევრთა კეთილი ნაბიჯი და გულმართლობა.

მათ სხვა სოფლებმაც მიბაძეს. მთიელ მშრომელებს მოთხოვნილებად ექცათ თავიანთი წვლილი შეეტანათ თავდაცვის ფონდში და ამით ვალმოხდილად ეგრძნოთ თავი ომში წასული ბიჭების წინაშე.

საიდან მოდიოდა ეს დოვლათი? შრომის ფრონტიდან! ღრმად მოხუცსაც კი ვერ შეხვდებოდით უსაქმოდ. გაჭირვებამ კერაზე ცეცხლი კი არ ჩააქრო, კიდევ უფრო ააგიზგიზა. მატულობდა მეცხოველეობის თუ მემინდვრეობის პროდუქტების სიუხვე, იზრდებოდა შრომადღის ღირებულება.



წელს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინების 30 წლისთავს ზეიმობს, გუდანელი მშრომელებიც წელგამართულნი დააბიჯებენ მშობლიურ მიწაზე. მათ შორის ომგადახდილებიც არიან, პირნათელნი რომ დაუბრუნდნენ მშობლიურ კუთხეს.

54 გუდანელიდან შინ 31 ვაჟკაცი ველარ დაბრუნდა. ველარ გაალაღეს ახლობელთა გული. მათ სიცოცხლე სამშობლოსა და მშობლიურ ხალხს ანაცვალეს.

ილიკო ჰინჩარაული ყოველდღე თავდახრილი ჩაუვლის ხოლმე შინმოუსვლელთა ობელისკს და ბრძოლებში დაცემულ მეგობრებზე ფიქრობს. შალვა ბურდული, ნიკო წიკლაური, ხვთისო არაბული, გიორგი ჰინჩარაული... აფსუს, რა ბიჭები იყვნენ! რა

(გაგრძელება იხ. მე-15 გვ.)

# ლუნაჩარსკის ქართველი მეგობრები

ეროვნული

ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი — მარქსისტული ესთეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი — მწერლებსა და მათ მკვლევარებს ბასრი, მაგრამ ჯანსაღი, ფაქიზი კრიტიკისაკენ მოუწოდებდა. იგი აღნიშნავდა, რომ კრიტიკა უნდა იყოს „ერთმანეთზე ამხანაგური ზემოქმედება“, რომელიც გამოიხატება „არა შეძახებით, არა ერთმანეთის გასულელებით, არამედ სათუთი დამოკიდებულებით ყველა ამხანაგისადმი, რომელიც შენს გვერდით მუშაობს კულტურის დარგში, წყურვილით — ასწავლო მას და ისწავლო მისგან ყველაფერი, რაც შეიძლება“.

სხვებთან ერთად ასე შთააგონებდა და ასე ზრდიდა ა. ლუნაჩარსკი თავის სემინარებზე ქართველ კრიტიკოსს ლავროსი კალანდაძეს, როცა იგი წითელი პროფესურის ინსტიტუტის ასპირანტი იყო.

ა. ლუნაჩარსკის არც ერთ სხვა საბჭოთა მწერალზე არა აქვს დაწერილი იმდენი სტატია და გამონათქვამი, რამდენიც მაიაკოვსკიზე. რაც მთავარია, ლუნაჩარსკის შეხედულება განუზომლად უფრო ზუსტი და შორსმჭვრეტელურია, ვიდრე იმ წლებში სხვადასხვა კრიტიკოსების მიერ პოეტისათვის გამოტანილი ნაირ-ნაირი განაჩენი.

ეს იმთავითვე შენიშნა და დააფასა ტიციან ტაბიძემ, რომელიც წერდა: მაიაკოვსკის მხარს უჭერდა განათლების სახალხო კომისარი ლუნაჩარსკი. ხელისუფლებისა და პოეზიის ესოდენ მჭიდრო კავშირმა გამაოცა და აღტაცებაში მომიყვანა. ამ თემას სპეციალური სტატია მივუძღვენი...

მაიაკოვსკის „მისტერია — ბუფს“ ლუნაჩარსკიმ პირველი რევოლუციური პიესა უწოდა. იგი თავდადებით იღწვოდა, რომ დაეძლია პიესის ფარული და აშკარა მტრები, მატერიალური და ორგანიზაციული დაბრკოლებანი და ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლისთავისათვის დაედგათ იგი. სახალხო კომისარმა „მისტერიის“ დადგმას, რომელიც ვ. მეირჰოლდმა განახორციელა, „კომუნისტური სპექტაკლი“ უწოდა. ამ მგზნებარე პიესამ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და მისი მიზნების შესახებ, აღტაცებაში მოიყვანა კოტე მარჯანიშვილი.

რეჟისორი დიდხანს ფიქრობდა, ვისთვის ეთარგმნინებინა იგი. ქართველ პოეტთა შორის მისი არჩევანი ბოლოს ტიციან ტაბიძეზე შეჩერდა. დრო მეტისმეტად ცოტა იყო — ორი კვირა, მაგრამ ტაბიძემ მაინც მოასწრო პიესის თარგმნა. მაიაკოვსკის თანხმობით გადაწყდა, რომ პიესა თბილისის ფუნიკულიორზე დაედგათ, მაგრამ ამ შესანიშნავ იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა

თავის მიმოხილვით სტატიაში „ქართული ხელოვნება 1920 წელს“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 1921 წლის 13 იანვრის ნომერში გამოაქვეყნა, ტიციან ტაბიძე ზუსტად გვიჩვენებს პოეზიის, დრამატურგიის, სახვითი ხელოვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაქვეითებას. პოეტი ახასიათებს მენშევიკურ რესპუბლიკას, რომელმაც ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია ყალბ, ორჭოფულ პოზიციაზე დააყენა. სად არის რევოლუციური პათოსით გამსჭვალული, ამაღლებული იდეალებით გამსჭვალული ლექსები, სიმღერები და დრამები? არსად! იმიტომ, რომ არ არის ნამდვილად რევოლუციური რესპუბლიკა, არის მხოლოდ რევოლუციონობანას თამაში, მხოლოდ ილუზიები ხალხისათვის, რომელიც გზაჯვარედინზე მიატოვეს.

თუ გავიხსენებთ, რამდენად შეურიგებელნი იყვნენ „თავისუფალი საქართველოს“ მაშინდელი გამგებელნი თავისუფალი კრიტიკული აზროვნებისადმი, როგორ განდევნეს მათ დრამატურგი და რეჟისორი დავით კობახიძე თავის რევოლუციურ თეატრში იროდიონ ევდოშვილის ლექსების წაკითხვისათვის, ნათელი გახდება, რომ საჭირო იყო ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური და მოქალაქეობრივი გამბედაობა, დიდი პრინციპულობა, რათა იმ შფოთიან ხანაში ზემოაღნიშნული აზრი გამოეთქვა პრესაში.

ტ. ტაბიძე ისევე შეხვდა რევოლუციას, როგორც ვ. მაიაკოვსკი — უყოყმანოდ.

ა. ლუნაჩარსკი დასცინოდა „იმ ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც აიღებდნენ კალამს, სამელნეს და ჩაფიქრდებიან: რა ქნან? კალამი ბურჟუაზიულია, სამელნე ბურჟუაზიულია. და იტანჯებოდნენ: როგორ ეწერათ — პროზად თუ ლექსად?“ ტიციანს არ ახასიათებდა ეს პროლეტკულტელთა ქეჯნანი. იგი მგზნებარედ გამოეხმაურა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის სიტყვებს, რომ პატივს უნდა ვცემდეთ და ვაფასებდეთ ყოველივე ჭეშმარიტსა და წარუვალს, რაც მამა-პაპათ შეუქმნიათ. ტ. ტაბიძის შეხედულებები სავსებით ემთხვევა სახალხო კომისრის ა. ლუნაჩარსკის მოღვაწეობას, რომელიც ვ. ი. ლენინის მითითებით, ყოველნაირად უწყობდა ხელს, რომ პროლეტარიატი დაუფლებოდა კულტურის ღირებულებებს, გაფრთხილებოდა მემკვიდრეობას, როგორც ახალი საზოგადოების მშენებლობის საძირკველს. ა. ლუნაჩარსკიმ ამ პრობლემას ბევრი სტრიქონი მიუძღვნა თავის მდიდარ შემოქმედებაში. მას აქვს ერთი ამგვარად ჩამოყალიბებული ფრაზა: „იუბილეთა დღეებში წარსულის გენიოსები მოდიან პროლეტარიატის ტრიბუნაზე“ (ეს ფრაზა მან წარმოთქვა ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავზე ბრწყინვალე იმპროვიზებული გამოსვლის დროს).

გარკვეული კანონზომიერებაა იმაში, რომ „ვაი ჭკუისაგან“ და ამ კომედიის ავტორის ცხოვრება ერთნაირად აფიქრებდა ა. ლუნაჩარსკისა და ტ. ტაბიძეს. პატარა წიგნში „ა. ს. გრიბოედოვი“, რომელიც ქართულ ენაზე გამოვიდა საიუბილეო — 1929 წელს, დაბეჭდილია ორი სტატია — ა. ლუნაჩარსკისა — „გრიბოედოვი“ და ტ. ტაბიძისა „ა. გრიბოედოვის ცხოვრება“. ლუნაჩარსკის სტატიის მთარგმნელი მითითებული არ არის, მაგრამ შესაძლოა, ამ გამოცემის ინიციატორი და თარგმანის ავტორი თვითონ ტ. ტაბიძე იყოს. ტ. ტაბიძის აღნიშნული ნარკვევი მთავრდება აზრით, რომ „ვაი ჭკუისაგან“ რუსი ხალხის ცხოვრებაში თავისი ძალით ისეთივე მოვლენა იყო, როგორც დეკაბრისტების აჯანყება რუსეთის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ ასეთივე ანალოგია აქვს ა. ლუნაჩარსკისაც მცირე თეატრის 100 წლისთავის დღეების მისალმებაში, სადაც ნათქვამია: კომედია „ვაი ჭკუისაგან“ და 1825 წლის 14 დეკემბერი — „ორი მოვლენაა, რომლებმაც თითქმის თანაბარი ძალით შეუტიეს მონობისა და დესპოტობის საუკუნეობრივ საძირკვლებს“. ა. ლუნაჩარსკის რამდენიმე გამოკვლევა აქვს გრიბოედოვზე. არაერთგზის დაბრუნებია გრიბოედოვის თემას ტ. ტაბიძეც. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული პორტრეტი „ა. ს. გრიბოედოვის ცოლი ნინო ჭავჭავაძე“. აქ გაეცნობით ეპოქის ბევრ საინტერესო წვრილმანს, იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ცოცხალ ხასიათებს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილებს — ნინოსა და ეკატერინეს. თავისი დროის მოწინავე ქალებს პოეტმა აღტაცებით აღსავსე სტრიქონები უძღვნა.

იმავე 1929 წელს ქართულად გამოვიდა ტიციანის მიერ თარგმნილი წიგნი „დეკაბრისტები საქართველოში“ (ნაწყვეტები ი. ტინიანოვის წიგნიდან „კუხლია“). ნაწყვეტები ეხებოდა გრიბოედოვსა და კიუხელბეკერს. ნიჭიერი ბელეტრისტი იური ტინიანოვი, გარდა იმისა, რომ საყვარელი მწერალი იყო ტიციანისა, პირადად მეგობრობდა კიდეც მას. მისი რომანისათვის „ვაზირმუხტარის სიკვდილი“, ქართველი პოეტი გატაცებით აგროვებდა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალას, დაკავშირებულს კავკასიასთან და თბილისთან. გარდა ამისა, ტ. ტაბიძე სპეციალურად სწავლობდა რუსული ლიტერატურის გიგანტებთან — პუშკინთან და გრიბოედოვთან დაკავშირებულ ეპოქას. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აგროვებდა დოკუმენტებს, ცნობებს, ფაქტებს და ემზადებოდა დაეწერა რომანი, შესაძლოა, გრიბოედოვზე.

კიდევ ერთი ამბავი, რომელიც საქართველოსთან აკავშირებდა ა. ლუნაჩარსკის, გახლავთ 1929 წლის 7 თებერვლის „ზარია ვოსტოკას“ ნომერი, სადაც დაბეჭდილია გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია. როგორც ჩანს, სტატია სპეციალურად ამ გაზეთისათვის უნდა იყოს დაწერილი. იგი არ ემთხვევა მწერლის შესახებ ა. ლუნაჩარსკის არც ერთ ცნობილ სტატიას, თუმცა ეხმიანება იმ შეხედულებებს, რომლებიც გამოთქმული აქვს ა. ლუნაჩარსკის იმავე წლის 10 თებერვლის „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში, სადაც ლაპარაკია გრიბოედოვის სოციალურ-პოლიტიკურ განზოგადებათა ძალაზე, მისი რეალიზმის სინთეზიურობაზე და სხვ.

ტიციან ტაბიძეს უთარგმნია ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“. წიგნი გამოვიდა დიდი მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, რომელიც 1928 წელს აღინიშნა. ტ. ტაბიძე იყო მოსკოვში ამ იუბილეზე. თავისი შთაბეჭდილებები მან აღწერა ნარკვევებში „ტოლსტოის დღეები“. ტიციან ტაბიძეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა განათლების სახალხო კომისრის სიტყვამ. პოეტი აღნიშნავს, რომ ა. ლუნაჩარსკის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლიტერატურის ისტორიკოსი პ. საკულინი და დაასკვნის: „ამ იუბილეს მსგავსი დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ამბები მოითხოვენ კულტურის ისეთ მოღვაწეთა მონაწილეობას, როგორიც არიან საკულინი და ლუნაჩარსკი.“

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ა. ლუნაჩარსკის ჩამოსვლა ყოველთვის საუკეთესო ნაყოფს იღებდა ადგილობრივ ინტელიგენციასთან: განათლების მუშაკებთან, მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, ახალგაზრდობასთან, პარტიულ მუშაკებთან. ა. ლუნაჩარსკის ხანგრძლივი, შუაღამემდე გაგრძელებული საუბრები მწერალთა კავშირში, შინ, ყოველთვის აღელვებდა ტ. ტაბიძეს. ა. ლუნაჩარსკის საქმიანი და ამხანაგური ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სახალხო კომისრებთან — დ. კანდელაკთან, ა. მრავიანთან და მ. ყულიევთან, რომლებიც თან ახლდნენ ხოლმე მას მოგზაურობის დროს და აცნობდნენ ისტორიულ ძეგლებს და თანამედროვე ყოფის ამბებს.

ტიციან ტაბიძე ბევრგან ეხმიანება ლუნაჩარსკის — კრიტიკოსსა და პუბლიცისტს: თუნდაც მწერალთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე გამოსვლაში, როცა პოეტი ლაპარაკობს ქართული კულტურის უწყვეტობაზე „ისტორიის კატასტროფიული ზიგზაგების მიუხედავად“, ანდა როცა წერს მოსკოვში ქართული თეატრის წარმატებებზე...

ტ. ტაბიძეს, ისევე როგორც ა. ლუნაჩარსკის, კარგად ესმის, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მწერლისათვის თავის დროსთან, თავის ხალხთან სრულ ერთიანობას.

ლარისა ფაცურია

# პიონერული ანსამბლი „მზიური"



ა. რუხაძის და თ. არჩვაძის ფოტო





ეროვნული ბიბლიოთეკა



 რ. კავეჯიჩი — „მსახიობი ქალი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბელგრადი“ თბილისში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან არსებული ფოტოკლუბი „თბილისი“ შვიდიოდე წელია ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანებულია ბევრი ფოტომოყვარული და პროფესიონალი. მათი შეხვედრები, საუბრები, გამოფენები უკვე ტრადიციად იქცა.

ფოტოკლუბ „თბილისს“ საქმიანი კონტაქტი აქვს ბევრ საზღვარგარეთულ ფოტოკლუბთან, რაც მათ საშუალებას აძლევს კიდევ უფრო გააფართოონ თავიანთი შემოქმედებითი თანამეგობრობა.

ამას წინათ გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო ფოტოკლუბების „თბილისისა“ და „ბელგრადის“ (იუგოსლავია) ერთობლივი გამოფენა, რომელიც დიად დღესასწაულს — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენაზე წარმოდგენილ იუგოსლაველ ფოტოხელოვანთა 80 ნამუშევარს შორის იყო პორტრეტები, მშობლიური მხარის პეიზაჟები, ჟანრული სცენები, ეტიუდები, კომპოზიციები...

ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

ს. ბოჟვიჩი — „ბოსაკები“.



ი. ეტეროვიჩი — „პერასტი“



მ. პაკლოვიჩი — „ცა ღრუბლებქვეშ“



ა. ბოჟვიჩი — „ახალგაზრდა“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. გოგოლაძის ფოტო

# თბილისელი პატარა არაბი



ეგვიპტელი აბდულ სატარ დაბური ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოვიდა თბილისში. იგი მათემატიკოსია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით დისერტაციის დასაცავად ემზადება.

აბდულ სატარის მეუღლე სუხიერ ელზარისი თბილისში რუსულ ენას ეუფლება. მისი მასწავლებელია უნივერსიტეტის დოცენტი ლუბა მენთორიშვილი.

ცოლ-ქმარს თბილისში შეეძინათ ქალიშვილი სუხა. თბილისელი პატარა არაბი სუხა რესპუბლიკურ საბაზო-ექსპერიმენტულ ბაგა-ბაღში დადის და მშობლიური ენასავით ფლობს ქართულს.

მშობლების სურვილია, რომ სუხა ქართველოლოგი გამოვიდეს.

— რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ჩამოვალთ თბილისში, — ამბობენ დაბურები, — ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენმა ქალიშვილმა სუხამ ჩვენსავით შეიყვაროს მზიური საქართველო, მისი ხალხი, უძველესი და უმდიდრესი ქართული ენა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკატერინე ჭავჭავაძის ფერადი ლითოგრავიურა.
(წერილი იხ. მე-14 გვ.)

**აკაკი გეწაძე**

## ჩვენი სიცოცხლის ცეცხლი

*უცნობი ქართველი ჯარისკაცის საფლავი*

ერთი საფლავის გაჰრამ ჟრუანტლად რად დაუარა თბილისს?
ეს დაიბრუნა მშობელმა მიწამ ერთი თავისი შვილი.
ერთი უცნობი გმირის საფლავი ყველას ნაცნობად იქცა.
ეს მიწა იქცა მარადიული ნუგეშ-იმედის მიწად.
ვისაც გულმკერდზე ახლა აუნთეს მარადიული ცეცხლი,
გადაგვირჩინა მზე და სიცოცხლე ჩვენი მიწის და ზეცის.
თვითონ დაეცა ცეცხლადქეული, ჩვენ კი სიცოცხლე მოგვცა,
მიწის გულმკერდში ჩახუტებული იქცა პატარა ბორცვად.
მგზავრო, ამ ცეცხლთან როცა გაივლი, პატივი უხმოდ ეცი,
აი, ამ ცეცხლმა გადაგვირჩინა შენი სიცოცხლის ცეცხლი!

საქართველოში ერთი სიზმარი ახლა კარდაკარ დადის,
ცრემლის მომწმენდი ნუგეშ-სიზმარი, გამნათებელი დარდის.
ამ ნუგეშ-სიზმარს ყველა ნატრობდა, ყველგან გაუღეს კარი:
ზოგს დაუბრუნდა მამა ომიდან, ზოგს დაუბრუნდა ქმარი.
ზოგს დაუბრუნდა შვილი შორიდან, ზოგსაც — ჭაბუკი პაპა.

დიდი ხნის შემდეგ ისევ ჩაიცვა ზოგმა პატარძლისკაბა,
ზოგს კვლავ ეწვია ძმა და ძმაკაცი, ზოგს — უნახავი ბიძა.
დედულ-მამულში ისევ დაბრუნდა კაცა, — ქცეული მიწად.
მიწას კვლავ გულმხნედ დაჰკრა ბარი და გადაუარა მთა-ბარს.
ჩამქრალ კერაზე ცეცხლი აანთო, გადაურწყია აკვანს.
სახლსა და მარანს მიუალერსა, მიუალერსა ვაზებს.
ციდან მომწყდარი ყველა ვარსკვლავი კვლავ დააბრუნა ცაზე,
დედას ამშვიდებს, მიწას ამშვიდებს ძილი ნაბრძოლი შვილის.
არ მოგვეშლება აწ და მარადის მზე ამ ნეტარი ხილვის.
ეს ხომ იმ სიზმრის ჟრუანტელია, ახლაც რომ უვლის თბილისს.
სიზმარი ესე ამიერიდან ივლის, მარადის ივლის.

ამ ცეცხლქვეშ ჩაწვა გადამრჩენელი ამ მიწისა და ამ ცის.
აი, ეს ცეცხლი არის დიდება ფარაჯიანი კაცის.
მგზავრო, ამ ცეცხლთან როცა გაივლი, პატივი უხმოდ ეცი.
აი, ამ ცეცხლმა გადაგვირჩინა შენი სიცოცხლის ცეცხლი!

---

**ლადო სულაბერიძე**

## საჩუქარი

*გოგონას, რომელმაც მაჩუქა*
*სამკერდე ნიშანი „9 მაისი“*

### 1.

შემოაფრინდა მაისივით
ჩემ თეთრ მწვერვალს უცხო გოგონა
და ალუბლების ალისფერი
გალიმების ხმა გამაგონა.
მიშალ-მოშალა ჩემს ზეცაზე
შერჩენილი წვიმის ღრუბლები.
მხრებზე ეყარა ყვავილები
ნუშებისა და ალუბლების.
რუსთველის ჭადრებს შერჩენოდათ
ამ დილანდელ ცისკრის ფრთასავით.
შხაპუნასავით მომასხურა
გრილი შუქი ოქროს თასიდან.

### 2.

და მომაგონდა მისი ტოლა, —
ახლა მკვდარი, — ომის ბიჭები.
(ხშირად ამგვარი მოგონებით
გავცივდები, დავინისლები!
მათი ლანდები მოვიხმე და
მოაქციეს გოგო ალყაში.
მათ ფარაჯებზე ნატყვიარებს
იგი კემსავდა თვალთა კაშკაშით.
გოგონამ ლანდებს შეჰღიმილა...
(მე კი იმათ მარად მივტირი)...
ხმობდნენ:
— მამულის ამნაირი
მშვენებისათვის ღირდა სიკვდილი.

### 3.

ჩემ თეთრ მწვერვალზე იდგა გოგო
ალუბლების ბაირაღებით.
ბიჭების გულში ააფეთქა
სიჭაბუკის ცხელი ნაღმები.
გამოარღვია მათი ალყა
და ლანდები გაუჩინარდნენ.
მკვდრებს მარადისი გზა გოგონამ
დაულოცა, გაუჩირაღდნა.
მაისის ნიში მკერდს შემაბა,
სად თვლემს ძველი ნაიარები,
ოცნების ქოხი მერე დავწან
გოგონასათვის ლექსის პწკარებით.

---

**ივანე თარბა**

# სამი სიმღერა

### სიმღერა მხედრისა

გავზარდე ჩემი ქურანა ცხენი,
არ დამიკლია ზრუნვა და ხელი;
ცხრა მთას იქით რომ წავიდე უნდა,
მეგობარივით მომყვება მუდამ.
აჯილღა იყო, გავხედნე ამ წელს,
მან უნაგირი ამ წელს იხილა
და ახლა გული საითაც გამწევს,
იქით მიმაფრენს ჩემი ჭიხვინა.
ერთურთს ყველაფერს უთქმელად ვუგებთ,
ფრუტუნებს, ნიშანს თავისას მაძლევს,
და მე რატომღაც მგონია უკვე,
ქვეყნად უცხენოდ ვერავინ გასძლებს.
არის ფეხმარდი, ფიცხი, გულლაღი,
ეტყობა, კაცის ხელმა რომ ზარდა...
ჩემს ცხენს მე თვითონ ვადგამ უნაგირს,
თვითონვე ვბან და ვაკრავ მოსართავს.
გზაზე ერთმანეთს როცა დავჰკივლებთ,
მაშინ თუ მგზავრი ვილაცა გვხედავს,
ქებას ნუ იტყვის, ნურც გააკვირვებს,
რა შნო აქვს ერთად ცხენსა და მხედარს.
მე და ეს ჩემი ქურანი ურჩი
ჩვენს გზებზე ჭენებ-ჭენებით მივქრით,
სადმე წასვლას რომ გავივლებ გულში,
გრძნობს და ჭიხვინით გაუხვევს იქით.

### სიმღერა მხედრისა, გზას რომ უნდა შეუდგეს

ჩემო ფეხმარდო ცხენო, თამაშავ,
მხნე გყავს პატრონი და გამბედავი,
შენ უნდა იყო მუდამ ლამაზად,
და მოხდენილი გყავდეს მხედარიც.
მხარს თუ აგიბამ, გახვალ დაბლობებს,
გადუვლი მთებს და გადახვალ ღელეს,
ხალხში ამიტომ ალბათ, ამბობენ,
რომ კაცის სისხლი უჩქეფთო ცხენებს.
ჩქარი ნაბიჯით გავუყვეთ ბილიკს,
ჩვენ უნდა ყველგან დავტოვოთ კვალი;
ქალას თუ ძილი დავუფრთხეთ ტკბილი,
გამოგვაყოლოს კეთილი თვალი.
დე, ყველა დატკბეს, ვინც კი შეგვხედავს,
შენ როცა პირში გიდევს ლაგამი,
უნდა გავუსწროთ ყველა ცხენ-მხედარს,
მუხლი და გული გვქონდეს მაგარი.
ჩვენს გზას ნათელი შუქი ჰფენია,
ცაზეც გადადის შავი ღრუბელი,
მალე დაღუპვა თუ მიწერია,
მე შენთან ერთად დავიღუპები.
ჩვენ უნდა ყველგან სიცოცხლე გვახლდეს
და სადაც მივალთ, ხალისი მიგვყვეს,
რომ ყველა ჩვენი ძმობილი გახდეს,
რომ ყველა ჩვენი მოკეთე იყვეს.
გადავიაროთ მთები, ველები,
სიკეთეს ვთესდეთ, სიკეთეს ვმკიდეთ!
ლურჯავ, იარე ჭენებ-ჭენებით,
ნალები შენი ნაპერწკლებს ყრიდეს.

### სიმღერა მხედრისა გზაში

მივქრით მე და ჩემი ცხენი,
გზაზე ვტოვებთ ნალთა წივილს;
ცა გავსილი ვარსკვლავებით
გვახურია გუმბათივით.
ხევში ღელე გვაყურადებს,
მთები დგანან გარინდებით,
ჩვენი არის ახლა ეს გზა,
დღეც ჩვენია ხვალინდელი.
უკან ქარი მოგვყვება და
გზაზე ფოთლებს აშრიალებს...
კარგი არის სტუმრად ყოფნა,
უფრო კარგი სახლში არი!
ჩემო ლურჯავ, ახლა ეს გზა
ჩვენს ეზო-კარს გადაუვლის,
სადაც დღემდე მოთმინებით
მიცდის ჩემი ნანდაური.
გულზე ცეცხლი მედებოდა,
ის ჩემს ახლოს რომ არ იყო...
ჩქარა სახლში მიმიყვანე,
ჩემო კარგო თოხარიკო!
მიწამ უნდა ჩაიტანოს,
ვინც სხვის სახლში შესვლას ცდილობს,
დაე, ყველას მისი ჰქონდეს,
მის მიწა-წყალს შეეწიროს!

მთარგმნელი მინდია არაგული

# მასწავლებელთა მასწავლებელი



(ანდრო შუბლაძის დაბადების 100 წლისთავის გამო)

„ჩემი პროფესია მასწავლებლობაა“, სიამაყით ამბობდა ანდრო შუბლაძე ერთ თავის ბიოგრაფიულ ხასიათის წერილში, რომელიც მას ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაუწერია.

ანდრო შუბლაძისთვის სკოლა და ახალგაზრდობა შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წყარო იყო, ის ეკუთვნოდა პედაგოგთა იმ სახელოვან თაობას, რომელმაც არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ანდრო შუბლაძეს სამართლიანად უწოდებდა მასწავლებელთა მასწავლებელს. როდესაც ამას ამბობდა, ის უსათუოდ გულისხმობდა ანდრო შუბლაძის მრავალმხრივ განვითარებასა და ღრმა ცოდნას, დიდ ჰუმანიზმსა და კეთილშობილებას.

„საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიიღოს, ბევრი ცოდნა შეიძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაიკაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს...“ — წერს დიდი ილია.

მასწავლებლობა მუდამ საამაყო ტიტული იყო ადამიანისათვის და ამიტომ, ჩვენი დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, ვასილ ბარნოვი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო სახოკია, იპოლიტე ვართაგავა, სერგი დანელია და სხვები სოფლად და ქალაქად მასწავლებლობას ეწეოდნენ. კაი-კაცობის კვალი გაჰყვა ანდრო შუბლაძის ხანგრძლივ მოღვაწეობას.

იგი დაიბადა 1875 წელს დიდ ჯიხაიშში. დაამთავრა ხონის (ახლანდელი წულუკიძის) საოსტატო სემინარია, შემდეგ სამასწავლებლო ინსტიტუტი; თბილისში კი მიიღო უმაღლესი განათლება.

1896 წლიდან 1951 წლამდე, თითქმის 55 წლის განმავლობაში, ანდრო შუბლაძე დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს მრავალ რაიონში. სხვადასხვა დროს იყო წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, თბილისის მებამბეობის ტექნიკუმის დირექტორად.

აღსანიშნავია ის, რომ ანდრო შუბლაძემ, რომელიც კარგად იცნობდა სოფლის მეურნეობას, დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის მამულში, 1925 წელს დააარსა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა. ანდრო შუბლაძე მუდამ სათავეში ედგა ამ სასწავლებელს და მთელ თავის ძალასა და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეს.

ანდრო შუბლაძე უზომოდ მოყვარული იყო თავისი შეგირდებისა. მუდამ იმის ცდაში იყო, თითოეული მოსწავლე ცხოვრების სწორ გზაზე დაეყენებინა, რომ ისინი მამულისათვის სასარგებლო ადამიანები ყოფილიყვნენ. მის მიერ აღზრდილთა შორის მრავალმა გაითქვა სახელი. სახელოვან მეცნიერთა პლეადას შეემატნენ ანდროს ნამოწაფრები, აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, გიორგი წერეთელი, არნოლდ ჩიქობავა, პოეტი დავით გაჩეჩილაძე და სხვ.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ანდრო შუბლაძე დაუღალავად იღწვოდა მეცნიერულ-შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ სარბიელზე. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე წიგნი მათემატიკის სფეროში და აგრეთვე საგაზეთო და საჟურნალო სტატიები, რომელიც იბეჭდებოდა „სკოლა და ოჯახში“, „კომუნისტურ განათლებაში“, „საბჭოთა მასწავლებელში“...

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ანდროს მუდამ გვერდში ედგა მისი მეუღლე, დღეს დამსახურებული ბიბლიოთეკარი აგრაფინა გუგუშვილი-შუბლაძისა, რომელიც ღარიბ მოწაფეებს ყოველნაირად უწყობდა ხელს.

საქართველოს მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ანდრო შუბლაძის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. საბჭოთა სკოლის აქტიურ მშენებელ პედაგოგს სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 1925 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს სსრ შრომის გმირის წოდება.

დღეს მადლიერი ქართველი ხალხი დიდი პატივისცემით აღნიშნავს შესანიშნავი პედაგოგის დაბადების 100 წლისთავს. ანდრო შუბლაძის ნამოღვაწარი მუდამ ნათელი მაგალითი იქნება მომავალი თაობებისა.

„ვინატროთ, რომ შემცვლელთა და შემავსებელთა ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, — წერს დიდი ილია, — ზოგჯერ უკანაც მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“.

ალექსანდრე სიგუა

---

მაღალ გოგიასა და ჩოფურა ფირანას ნამდვილი სახელი და გვარი ახლა ხელფასის უწყისის გამომწერმა იცოდა მხოლოდ. სხვა დრო დადგა, შოფრობა ყველამ ისწავლა, ტორემ თავის დროზე, როცა თბილისში მხოლოდ ერთი შავი ემადინი და ათიოდე მანქანა დაჰქროდა, მაღალ გოგიასა და ჩოფურა ფირანას მთელი ქალაქი იცნობდა...

თავის დროზე ქალაქის ყველა მანქანის ნომერი ზეპირად იცოდნენ და ყველა მანქანას საყვირით სცნობდნენ. როცა, მანქანა მეტისმეტად მომრავლდა, გოგიამ და ფირანამ შოფრობაზე ხელი აიღეს და მექანიკოსობა დაიწყეს, მე შენ გეტყვი და არ იცოდნენ მანქანის სატკივარი.

ყოველთვის ერთად უტრიალებდნენ მანქანას. მთელი ქალაქის შოფრებმა იცოდნენ, რომ გოგიასა და ფირანას ხელმოკიდებული საქმე კეთილი და უღალატო იყო.

ასე მიდიოდა წლები.

— გოგა, დრო სიკვდილიდან სიცოცხლემდე დღეებად და წლებად ნეტა ვინ დაჰყო? ვთქვათ, მთვარეზე (ფირანას როცა რაიმე საოცარი უნდოდა ეთქვა, მთვარეს მოიშველიებდა). წელიწადში სამას სამოცი კი არა, ას ოთხმოცი დღეა და შენ იქ ცხოვრობ, მაშინ რა, მე რომ ასი წლისა ვიქნები, შენ ორასისა გახდები? მერე ჩემზე მეტს იცოცხლებ?.. ცხოვრება ხომ ერთად დავიწყეთ და ერთად დავამთავრეთ, იყავი ჩემზე ასი წლით უფროსი, მერე რა, ჩემზე მეტი ხნისა ხარ?!

— სიცოცხლე მზის ამოსვლა და ჩასვლაა — ამოსვლა დაბადებაა, ჩასვლა — სიკვდილი... რა არის დღე ან წელიწადი? წელიწადიც დღეა, ხვალეც დღეა. ეგ ყველაფერი მოგონილია, მარტო სიცოცხლეა ნამდვილი. სიცოცხლე კი ერთია და როგორ უნდა დაითვალო?! (გოგიას არ ახსოვს, ფირანას ამდენი ეუბნებოს, არც ფირანას ახსოვს, გოგიას მისთვის ამდენ ხანს ეგდოს ყური).

— ფირან, მე და შენი სიცოცხლე ერთია თუ ცალ-ცალკე? — ჰკითხა გოგიამ და თვალი მოჭუტა.

— მე და შენი — ერთია!..

— სამხარაძე გოგია და ბრუციან ბიძინასი?

— ერთი!..

— გამოდის, წყვილ-წყვილი ყოფილა ადამიანის სიცოცხლე!

— ეგ არ ვიცი...

— მაშ, მე და შენი სიცოცხლე ერთია?!

— ერთია, მა რა ჯანდაბაა!..

— იცოცხლე, ფირან, მე და ჩემმა ღმერთმა, უცოლშვილო და უპატრონო კაცისათვის ეგეთი სიტყვა თურმანიძის მალამოა. მზე არა ხარ, ფირან, ქვეყანა გაათბო, მაგრამ ერთი კაცის გულის გათბობა კი შეგიძლია, აი, შენ რომ დაინიშნე, ერთი-ორი ბრუნდი ამბობდა, ახლა დაეშლებათ ძმაკაცობაო.

— ვაჰ, მოგიკვდეს ფირანა, ბიჭო, შენა ხარ უპატრონო? მაშ, მე ვინა ვარ? დაგჭირდეს, ქვეყანას დავწვავ!

— ფირან ბიჭო, კოდელ ნინოსავით ყველაფერი რო იცი, იქნებ ესეც იცი, სიყვარული ღვთის ნიჭია თუ ესეც მოგონილია?! შიშველი იბადება ადამიანი და მერე იმოსება? უტანსაცმელო კაცი ვის უთქვამს, იქნებ სიყვარულიც ასე ტანსაცმელსა ჰგავს?!

— ეე, გოგა, ყაირათიან კაცს სიყვარულიც შეუძლია გამოიზოგოს. ის ანიჭებს სულიერს სიცოცხლის ძალასა და უფლებას!

— ერთგულება სიყვარულის მეორე სახელია, ფირან!

— თუ ასეა, არაკს გიამბობ ერთსა, მამიჩემისგან გამიგონია.

ფირანამ საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და დაიწყო:

— იწვა შავი ნაგაზი და მზეს ეფიცხებოდა. გვიანი შემოდგომა იყო და მზეს არ ჰქონდა ძალა, არც ნაგაზს ჰქონდა ძალა — მისი ცხოვრების შემოდგომაც ილეოდა. გრძნობდა ძაღლი, დასასრული ახლოვდებოდა და ყველაფერ ამქვეყნიურს ისე იოლად შეელია, ისე სხვათა შორის მიხედა განვლილ ცხოვრებას, თითქოს ხიდან ფოთლის ჩამოვარდნა ყოფილიყო. ნაგაზს მურთაზი ერქვა. ძაღლს წყინდა კაცის სახელს რომ ეძახდნენ, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ადამიანსაც არქმევენ ხანდახან ძაღლის სახელს!.. არ მოსწონდა მურთაზს ცხოვრების ასავალ-დასავალი. იფხიზლა, იუეფა მთელი სიცოცხლე და რა?!.. კიბის ქვეშ კი ათევინებდნენ ღამეს, ლუკმაპური კი თანდათან გაუძვირეს...

მურთაზს განსაკუთრებით იმაზე წყდებოდა გული, არსთაგამრიგემ ძაღლს ადამიანის სამსახური რომ დაუწესა.

მას მთელ საძაღლეთში ჰქონდა სახელი გავარდნილი. დედა ძაღლები მის ამბავს ლეკვებს უყვებოდნენ და სალაპარაკოდ სულ ისა ჰქონდათ, ერთხელ წყალდიდობისას, კატის ცინდალი რომ გადაერჩინა.

იწვა ბებერი ნაგაზი და ფიქრი, უფორმო და უსასრულო ფიქრი ხუთავდა...

„ქვეყნის უსამართლობას გვიან მივხვდი, ჩვენ, ძაღლების მოდგმა, სიყვარულისა და ერთგულებისათვის გაგვაჩინა ბუნებამ. ჩვენზე ერთგულს, საიმედოსა და გამტანს აბა, რომელ სულიერს დაასახელებ?! ცხენიც კია მოსიყვარულე, მაგრამ სად ჩვენ და სად ცხენი; ვის გაუგია ცხენს პატრონისათვის ან საყვარელი არსებისათვის ეჩხუბოს?! ჩვენ კი თუ ვინმე გვიყვარს, იმისათვის კბილებით დავღრღნით ქვეყანას. ჩვენს მოდგმაშიც გვირევია ზოგიერთი — თუ რაიმე არ უნდა, თუ არ სჭირდები ერთ „აუს“ არ დაიძახებს... შე მადლიანო ღმერთო, რაღა ადამიანის სამსახური დაგვავალე ძაღლებს?!.

# ფირანა

რევაზ დვალიშვილი

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო დრო, ჩვენმა მოდგმამ ღალატი არ იცოდა, მერე დრო წახდა, საძაღლეთიც აირია, ჩვენს სიყვარულსაც გაუჩნდა ბზარი... დამიზამთრდა და ყველამ მიმატოვა, იმანაც კი"...

მურთაზს ფიქრშიც არ უნდოდა ეხსენებინა ნამგალაძეების კოხტა გნიასა, უზენაესი და უნაზესი სიყვარულით რომ უყვარდა. სამი დღეა გნიასა არ გამოჩენილა, ავადმყოფს აღარ მიჰკარებია. მეზობლის შავმა ფინიამ მოუტანა ენა, ორი დღეა გნიასა ხრამის პირას სხვა სოფლიდან მოთრეულ კანჭებდაფუფქულ რუხ ლეგასთან აგდია, ნაბიჯზე არ სცილდება, ლამის სულში ჩაუძვრესო, — ეს ისე, თითქოს სხვათა შორის თქვა ფინიამ.

მურთაზა ყველაფერს მიხვდა, მიხვდა, რომ გნიასა წავიდა მისგან. მისთვის სულ ერთი იყო, ვისთან წავიდა. ახლა მისთვის მთავარი და ამოუცნობი იყო არა ის, თუ ვისთან წავიდა, არამედ ის, თუ რატომ დარჩა იგი ასე მარტოდმარტოდ, ყველასაგან მიტოვებული. გაძარცვეს, გაძარცვეს, — უშველეთ, სულიერნო, მთელი სიცოცხლე სხვის ქონებას დარაჯობდა და თვითონ გაძარცული დარჩა!..

ამოიწკმუტუნა, ამოიკვნესა მურთაზამ; კიდევ კარგი, ეს კვნესა არავის გაუგონია. მზეც რაღაც უფრო გაცივდა და დაშორდა... თვალი ოდნავ გაახილა, ყველაფერი ბურანს მოეცვა... წინ მხოლოდ ბელურა შეამჩნია, სულ ახლოს, ცხვირის წინ.

სწორედ გუშინ დილით მისი პატრონი ვიღაც ქალს ეუბნებოდა: — ჩიტი ქალს მაგონებს, დაგიზამთრდება თუ არა, მიგატოვებს, გაგიფრინდება. მარტო ბელურაა გამონაკლისი, ზამთარ-ზაფხულ შენთან არის, ამიტომ ჩიტებში მხოლოდ ბელურა მიყვარსო.

— მოდი, ბელურა, მომიახლოვდი — ყველა სულიერს, ვისაც ერთგულებისა და სიყვარულის უნარი შესწევს, სულში თავისი დიდი მზე აქვს! ვაი, რომ მაშინ დაგინახე, როცა ჩემი მზის სხივი აი, იმ შემოდგომის მზეს ჰგავს, სითბო აღარა აქვს, არა!

მურთაზამ უკანასკნელად ერთხელ კიდევ გაახილა თვალები, არც უცდია თავის წამოწევა, ვერც ვერაფერი დაინახა ამქვეყნად იმ პატარა ბელურას გარდა, ისე დალია სული.

ასე დამთავრდა მისი ძაღლური ცხოვრება.

— გნიასა?! — იკითხა გოგიამ.

— კანჭებდაფუფქული ლეგა მეველეს მოუკლავს შემთხვევით. გნიასა კი ახლაც დაწანწალებს თურმე სოფელ-სოფელ.

ფირანამ ჭიქები აავსო და დახლიდარს გასძახა:

— აბელ, აბა, აქეთ მოგვხედე!

აბელა მაისურაძეს გოგიასა და ფირანაზე საყვარელი მუშტარი არა ჰყავდა. ორთავე ძმაში არ გამოერჩეოდა. აბელას რომ მამა მოუკვდა, როდის იყო, 36 წელს, გოგია და ფირანა ნოემბერში შქმერში ავიდნენ მანქანებით და თბილისიდან ხალხი აიყვანეს!

გარაჟიდან ასი მეტრი თუ იქნებოდა აბელას დუქნამდე. თუ შაბათი არ იყო, გოგია და ფირანა პურის საჭმელადაც არ დაჯდებოდნენ. შემოვიდოდნენ, უსიტყვოდ და დახლთან დადგებოდნენ.

აბელა ჩამოიღებდა ორ ასგრამიან ჭიქას და არაყს დაასხამდა. ფირანა და გოგია უხმოდ აიღებდნენ ჭიქებს, არც კი მიაჯახუნებდნენ, არც არაფერს იტყოდნენ და არც შეხედავდნენ ერთმანეთს, ისე გადაჰკრავდნენ, მერე ერთ-ერთი პურის ნატეხს აიღებდა, გატეხავდა და მეორეს მისცემდა, ლუკმას პირში ჩაიდებდნენ, ფულს გადაიხდიდნენ და წავიდოდნენ.

ასე იყო ყოველ ცისმარე დღეს.

გადიოდა წლები, ბერდებოდნენ გოგია და ფირანა. აბელასაც მოერია ხანი. დღეები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს — ისე ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ, ისე უკვალოდ ჰქრებოდნენ, თითქოს არც ყოფილიყვნენ.

დეკემბერი იყო. აბელა დახლში საქმიანობდა. ფანჯრიდან თვალი მოჰკრა ფირანას — მარტო იყო.

გაუკვირდა აბელას, მაგრამ ამ დროს მზარეულმა დაუძახა და ფიქრი გაუწყდა. საღამოს გვიან გაიხსენა, რომ დღეს ფირანა დუქანში არ შემოსულა. მეორე დღესაც არ მოუკრავს თვალი არც ერთისათვის. მესამე დღეს, შუადღისას დახლი მიატოვა, ხალათი გაიხადა და გარაჟში მიაკითხა. იქ გაიგო გოგიას ავადმყოფობა.

ორი კვირა ფირანაც არ გამოჩენილა. ერთ დღეს ვიღაცამ ამბავი მოიტანა; მაღალგოგია გარდაიცვალაო.

ეწყინა აბელას, ეწყინა და მერე როგორ?!

გოგია მარტოხელა იყო და უშვილძიროდ გადაეგო. ერთი ძმა ომში დაჰკარგა. ერთ ხანს ძმისწულსა და რძალს პატრონობდა, მერე ის ქალი გათხოვდა, სადღაც რუსეთში გადასახლდა და ბავშვიც თან წაიყვანა.

ფირანას მეტი არავინ ჰყავდა გოგიას. მთელი თბილისის შოფრები ფეხზე დადგნენ. ფირანამ ძმაკაცი დუდუკებითა და პურმარილით გაასვენა. ზღვა ხალხი იყო. მანქანების კივილმა ლამის მკვდრები დაალვიძა კუკიაზე. გააპატიოსნეს და მიწას მიაბარეს გოგია.

ფირანა უნდა გენახათ, როგორ დაილია, როგორ გათავდა კაცი.

მესამე დღეს სამუშაოზე გავიდა. ახლა სულ დამუნჯდა ისედაც უენო კაცი. მთელ დღეს თავაულებლად მუშაობდა. საღამოს აბელასთან შეივლიდა, კვლავ ორ ჭიქას დაასხმევინებდა, ჯერ ერთს დალევდა, ლუკმას გალეჭავდა, მერე გოგიას ჭიქას აიღებდა, გვერდზე ცარიელ ადგილს მიხედავდა და ისე დალევდა.

გოგიას სიკვდილის მერე ძალიან მალე მოტყდა, წელში მოიხარა, ჩოფურა უფრო დაეტყო.

ერთ დღეს ჩვეულებრივ შევიდა ფირანა, აბელამ ორი ჭიქა ჩამოიღო და არაყის დასხმა დაიწყო. ერთი ჭიქა რომ გაავსო და ის იყო, მეორეზე უნდა გადასულიყო, ფირანამ ცარიელ ჭიქას ხელი დააფარა. დახლიდარმა გაკვირვებით შეხედა.

— ავადა ვარ, აბელ, ავად.. აღარა ვსვამ... ექიმმა ამიკრძალა! — და ჯიბიდან რაღაც წამლები ამოიღო.

გოგიას ჭიქა გამოსცალა. მობრუნდა და ჩვეულებრივ უსიტყვოდ გავიდა.

გარეთ ქარი ქროდა — უსიამო, მაწანწალა ქარი.

აბელა ფანჯრიდან უყურებდა წელში მოხრილ ფირანას და ცრემლს ვერ იკავებდა.

* * *

— მოგვხედე, კაცო! — შეძახილმა გამოარკვია აბელა. დუქნის კუთხეში ორი ახალგაზრდა იჯდა და ტკბილად საუბრობდა. იცნო, ისინიც იმ გარაჟიდან იყვნენ. ახლა მიხვდა, ეს ახალგაზრდები ამ ბოლო ხანს ყოველ შაბათს აქ რომ შემოვიდოდნენ იმ მაგიდას მოუსხდებოდნენ, რომელთანაც გოგია და ფირანა ისხდნენ ხოლმე და ტკბილად ჰუკჰუკებდნენ...

აბელამ ფანჯრისკენ გაიხედა, ფირანა აღარ ჩანდა.




ტრესტ „კოლხეთმშენის“ მექანიზატორებმა კოლხეთის დაბლობის ახლადამოშრალი 4100 ჰექტარი ძვირფასი მიწა გადასცეს ხობის, აბაშის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

წლის ბოლომდე კიდევ ასეული ჰექტარი მიწა ჩადგება ხალხის სამსახურში.



ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანაში დამზადებულმა წყალქვეშაფრთიანმა სამგზავრო გემმა „კომეტამ“ მსოფლიო გამოფენებზე საერთო მოწონება დაიმსახურა.

116 ადგილიანი ფოთური „კომეტა“ ახლა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

გემთშემკეთებელი ქარხანა მალე გამოუშვებს 250 ადგილიან ორსართულიან თბომავალს, რომელიც, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო დიდ საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს.

წალვერში მთავრდება და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წალვერის ბაზა.

ბაზა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ჩაატარებს ტყის გაჯანმრთელებისათვის. ლაბორატორიაში დიდი რაოდენობით გამოიყვანენ ლაფნიჭამიას გამანადგურებელ რიზო ფაგუსის ჯგუფის ხოჭოებს, რომლებსაც ტყეში გაუშვებენ.

თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ამას წინათ მწყობრში ჩადგა კეთილმოწყობილი უნივერსალური მაღაზიის ორსართულიანი შენობა.

კოხტად ნაგებ ახალ უნივერსალურ მაღაზიას აქვს სამრეწველო და სასურსათო სექციები. მომხმარებლებს შეუძლიათ ადგილობრივ შეიძინონ მათთვის საჭირო სხვადასხვა საქონელი და კვების პროდუქტები.

გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლებთან.

ხიდისთაველმა მოსწავლეებმა ბამის ქართველ მშენებლებს უკვე ოცდაათზე მეტი ამანათი გაუგზავნეს.



მწყობრში ჩადგა საგარეჯოს ავტოშემკეთებელი ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა ამიერკავკასიაში.

ქარხანა მომსახურებას გაუწევს ჩვენი რესპუბლიკისა და მოძმე აზერბაიჯანის და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს.



ზესტაფონსა და მის ახლომახლო სოფლებში მოვიდა ბუნებრივი გაზი.

„საქსპეცგაზმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის კოლექტივმა გაზი გამოიყვანა ზემო იმერეთის მეტად რთულ კლიმატურ და რელიეფურ პირობებში.

ცისფერი ალი აგიზგიზდა ოჯახებში, ფეროშენადნობების ქარხანაში, სპირტისა და ღვინის ქარხნებში და სხვა საწარმოებში.



სახელმწიფო კომისიამ „ფრიადი“ შეფასებით ჩაიბარა რუსთავის ქიმიური კომბინატის მანგანუმის აქტიური ელექტროლიზური ორყანგის საამქრო.

ელექტროლიზური ორყანგის მიღების ტექნოლოგია ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა რუსთავის ქიმიურ კომბინატთან ერთად.



უკანასკნელ ხანებში ბორჯომში აშენდა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი, 9 სართულიანი ადმინისტრაციული სახლი, დასასვენებელი სახლი პლატოზე და სხვა მრავალი სამკურნალო დაწესებულება.

ამჟამად შენდება 275 ადგილიანი სასტუმრო, კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლის კომპლექსი, 14 სართულიანი სანატორიუმი „მთის ხეობა“, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, „გუჯარულას“ წყლის ბაზაზე შენდება წყალსადენი, რომელიც ბორჯომს დამატებით მიაწვდის სასმელ წყალს.

შარშან ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო მშენებლობებზე 400-მდე ახალგაზრდა გაიგზავნა, ხოლო რესპუბლიკის სხვადასხვა ობიექტებზე — 3.700-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი.

საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდები დიდი მონდომებით შრომობენ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ბამის მშენებლობაზე ახალგაზრდების კიდევ რამდენიმე ჯგუფი გაემგზავრება.

# ეკატერინე ჭავჭავაძის უნიკალური პორტრეტი

ეკატერინე ჭავჭავაძის სილამაზე, სიდარბაისლე, განათლება, პოეზიისადმი სიყვარული და ცოდნა ყველას ხიბლავდა.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II სეფექალი ტიუტჩევა თავის მოგონებებში წერს, რომ ეკატერინე ჭავჭავაძემ გააოცა პეტერბურგი, ქალაქი, რომელსაც არაფერი აოცებდაო. და განა მარტო პეტერბურგი? — პარიზიც კი, პარიზი, რომელიც იმ დროს მსოფლიოს დედაქალაქად ითვლებოდაო.

ნაპოლეონ III და მისი მეუღლის, ღმშვენიერი ეჟენი მონტიხოს მიპატიჟება დიდი პატივი იყო. საფრანგეთის იმპერატორმა და მისმა მეუღლემ თავის კარზე მიიპატიჟეს ეკატერინე ჭავჭავაძე და ამ მშვენიერი ქალის სილამაზით ალტაცებულებმა, თავის კარის მხატვარს, გამოჩენილ ვინტერჰალტერს დაახატვინეს მისი პორტრეტი. ესეც არ იკმარეს, დაიმოყვრეს კიდეც (ნაპოლეონმა თავის ახლო ნათესავს პრინც მიურატს ცოლად შერთო დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასული სალომე).

როგორც ჩანს, ვინტერჰალტერის მიერ დახატული ეკატერინეს პორტრეტი იმდენად კარგი გამოვიდა, რომ მხატვარმა (იგი გრავიურისა და ლითოგრაფიის ხელოვნებასაც ფლობდა) ამ პორტრეტიდან გადმოღებული გრავიურებიც დაამზადა. გარდა ამისა, მისი ფერადი ლითოგრაფია გადაუღია, რომელიც, ჩემი აზრით, თვით ვინტერჰალტერს დაუმუშავებია.

ვინტერჰალტერის მიერ შესრულებული პორტრეტის ორიგინალი ზუგდიდის მუზეუმშია დაცული (ამ რამდენიმე ხნის წინათ ვნახე, იგი სასწრაფო რესტავრირებას მოითხოვდა).

გრავიურის რამდენიმე ცალი აქაიქ არის დაცული, ფერადი ლითოგრაფია კი ჯერჯერობით ერთია და იგი ჩემ საკუთრებას შეადგენს.

**პაპუნა წერეთელი**

---

ეკ. ჭავჭავაძის პორტრეტი
იხ. ჩანართის მე–4 გვ.



# ბათუმის დელფინარიუმი

ბათუმის თვალწარმტაც სანაპიროზე ზღვისა და ნურიეს ტბის შორის მოთავსებულია თევზის მეურნეობისა და ოკეანოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება თავისი საუცხოო დელფინარიუმით. იგი თავისკენ იზიდავს ტურისტებს, ექსკურსანტებს, დამსვენებლებს, ბათუმში ჩამოსულ მრავალ სტუმარს.

აჭარის ასსრ დედაქალაქში გახსნილი დელფინარიუმი თავისი ამოცანებითა და მნიშვნელობით ერთადერთია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ბათუმში თბილი ზამთარი იცის, ტემპერატურის წლიურ და სადღეღამისო ცვალებადობას ზომიერი ხასიათი აქვს. ამიტომ ბათუმში გახსნილ დელფინარიუმში არის იმის საუკეთესო საშუალება, რომ დელფინები ისეთ პირობებში იყოლიონ, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება ბუნებრივს. აქ დელფინები ცხოვრობენ ბუნებრივად განათებულ ღია აუზებში, სადაც საჭირო არ არის ხელოვნურად გამთბარი წყალი.

ბათუმის დელფინარიუმის ამოცანაა, რომ მსოფლიოში ოკეანის ცოცხალ ბინადართა შესახებ მეცნიერულ ცოდნას ყველაზე სრული და თვალსაჩინო პოპულარიზაცია გაუწიოს. მეცნიერულ კვლევასთან ერთად ბათუმის დელფინარიუმში მოეწყობა ცხოველთა სწავლის უნარის დემონსტრირება.

როგორც ცნობილია, უცხოეთის დელფინარიუმებში მნახველთათვის განკუთვნილ სადემონსტრაციო პროგრამას მხოლოდ გასართობი ხასიათი აქვს.

ბათუმის დელფინარიუმში კი კვლევის მთავარი მიზანია ის, რომ გამოავლინოს თუ როგორ სამსახურს გაუწევს ადამიანს დელფინი, იქნება თუ არა იგი ადამიანის თანაშემწე მსოფლიო ოკეანის ათვისებაში; აგრეთვე უჩვენოს ამ ცხოველთა ისეთი თვისებები, როგორიცაა მიმნდობლობა და მეგობრულობა ადამიანის მიმართ, მათი საზრიანობა და უნარი დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სხვადასხვა ამოცანა.

ადამიანს განზრახული აქვს ფართოდ გამოიყენოს ოკეანე. დადგება დრო, როცა ადამიანი ისწავლის მართოს ზღვებისა და ოკეანეების კვების რესურსები, რაციონალურად და სწორად გამოიყენოს იგი.

ამ მიზნის მიღწევაში ადამიანის ერთგული თანაშემწე შეიძლება გახდეს დელფინი. ამიტომ უნდა შევეცადოთ შევიმუშაოთ ზღვებსა და ოკეანეებში დელფინთა სამსახურებრივი გამოყენების მეთოდები.

დელფინმა უნდა იმუშაოს ფოსტალიონად წყლის ზედაპირზე მყოფ გემებსა და წყალქვეშა სახლებს შორის, რომლებშიც იცხოვრებენ აკვანავტები. დელფინმა წყალქვეშელებს უნდა მიუტანოს ფოსტა, ინსტრუქციები, იქიდან უნდა წამოიღოს ნიადაგის სინჯები, წერილები, მასალები... დელფინებს შეუძლიათ იყვნენ მეთევზეთა ერთგული თანაშემწეებიც — რეწვის დროს დაზვერონ და გადმოსცენ სიგნალები აღმოჩენილი თევზის ქარავანის ადგილსამყოფელის შესახებ. გაწვრთნილი დელფინების ქარავანს შეუძლია არა მარტო აღმოაჩინოს თევზის ქარავანი, არამედ გააჩეროს კიდეც იგი გარკვეულ უბანზე სარეწი გემების მისვლამდე.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაფართოვდება ამოცანა, რომლის შესრულება მოუწევთ დელფინებს, როცა ადამიანები ზღვებისა და ოკეანეების მეურნეობაზე გადაინაცვლებენ.

დელფინებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ აგრეთვე ოკეანოგრაფიულ კვლევაში. სპეციალური ხელსაწყოებით აღჭურვილ დელფინებს შეუძლიათ გარკვეულ სიღრმეზე ჩაეშვან წყალში და შეაგროვონ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია.

დელფინარიუმებს შეიძლება ვუწოდოთ დელფინთა სხვადასხვაგვარი სასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ დელფინებს და შემდეგ მათ გადასცემენ მეთევზეებს, ოკეანოგრაფებსა და სხვა სპეციალისტებს, ბუნებრივ პირობებში სამუშაოდ.

ბათუმის დელფინარიუმში, სადაც ერთდროულად შეხამებულია დელფინარიუმი და ზღვისა და მტკნარი წყლის მრავალი სახის აკვარიუმები, შესაძლებელია დელფინებთან მეცნიერული კვლევის ღრმა და ყოველმხრივი წარმოება.

დელფინი რომ თანაშემწედ გამოვიყენოთ, საჭიროა აქტიურად ვმართავდეთ მის ქცევას, მკაფიოდ და გასაგებად გადავცემდეთ ბრძანებებს. მაგალითად: „გაცურე მარჯვნივ!“ „გაცურე მარცხნივ!“, „ჩაყვინთე!“, „იცურე პირდაპირ“! და ა. შ. ეს ბრძანებები უნდა გავცეთ დელფინების ენაზე — მათი სასიგნალო კოდის გამოყენების მეშვეობით. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ ჩვენს წინაშე დელფინების პრაქტიკულად გამოყენების, მათი ქცევის აქტიურად მართვის უფრო ფართო პერსპექტივები გადაიშლება.

უნდა გამოვარკვიოთ, თუ რა რთული დავალებების შესრულება შეუძლიათ დელფინებს, გონივრული მოქმედების რა უნარი გააჩნიათ მათ. ამ მხრივ კვლევა უკვე დაწყებულია.

ბათუმის დელფინარიუმში სამეცნიერო კვლევასთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სადემონსტრაციო მუშაობა, მაგრამ იგი განსხვავებული იქნება უცხოეთის დელფინარიუმებისაგან, სადაც დელფინების დემონსტრაცია გასართობ, სანახაობით, თითქმის საცირკო წარმოდგენის ხასიათს ატარებს. ბათუმის დელფინარიუმი



მნახველთა წინაშე მოახდენს დელფინის უნარისა და ადამიანის თანაშემწედ მისი გამოყენების შესაძლებლობის დემონსტრირებას, უჩვენებს მათს სპეციფიკურ თავისებურებებს, საკუთარი ქცევის განსჯის უნარს, მათს ჰიდროდინამიკას... ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ბათუმის დელფინარიუმის მნახველს — ჩამოსულ სტუმარს თუ ადგილობრივ მკვიდრს — დარჩეს რაც შეიძლება სწორი, ობიექტური წარმოდგენა მსოფლიო ოკეანის ამ მეტად საინტერესო და გულკეთილ ბინადარზე.

აი, ის ძირითადი მიმართულებანი, მრავალწლიანი კვლევის ფართო პროგრამა, რომელიც უნდა განხორციელდეს ბათუმის სამეცნიერო-სადემონსტრაციო დელფინარიუმში.

**ამირან შერვაშიძე**

(დასასრული. იხ. გვ. 9)

გულსატკენია, მათი ხმა რომ ველარ შეუერთდა გამარჯვების დღის სალუტთა გრიალს, მათმა „მრავალჟამიერმა“ რომ ველარ გაკვეთა საბადურის ტყის მყუდროება.

ილიკო ჭინჭარაული ომგადახდილთა მესაიდუმლე და გულის მალამოა. მის ხელში დაფრთიანდნენ მთიელი ჭაბუკები, ქარცეცხლში რომ გამოატარეს სამშობლოს დროშა. ისინი დღესაც მამასავით ესიყვარულებიან 78 წლის მოხუცს და ერთგულებას ეფიცებიან.

დიახ, ყოფილმა მებრძოლებმა ფიციც იციან და ფიცის გაუტეხლობაც, შრომაც იციან და ლხინიც! თუ ძია ილიკოსთან მოიყარეს თავი, გრძელ ზამთრის ღამეს თეთრად ათენებენ: არ უთავდებათ მოსაგონარი, არც ხვალინდელ დღეზე სასაუბრო.

ხვალინდელი დღე ხომ ახალ ამოცანას უსახავს გუშინდელ ჯარისკაცებს. მათ მოუღლელ მარჯვენას ელოდება ფერმა და მინდორი, ტყე და მდინარე...

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი მამაცობისა და ვაჟკაცობის წელია. ამ წელს ერწოს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს — დასახული გეგმების ვადაზე ადრე შესრულება გადაწყვიტეს.

რაღა თქმა უნდა, ამ საქმის გამარჯვებით დამგვირგვინებელთა ავანგარდშიც ომგადახდილი ვაჟკაცები იქნებიან.

და იმ შინმოუსვლელ 31 ჭაბუკის სახელზე წელს გუდანელებშიც დაენთო კოცონი, კოცონი ხსოვნისა და არდავიწყებისა, სიყვარულისა და ერთგულებისა. ეს კოცონიც მათმა, თანამებრძოლებმა დაანთეს თავიანთი მოუღლელი ხელებით...

...წყაროთგორაზე ისევ დგას თეთრი არყის ხე, მის მკერდზე დღესაც გარკვევით იკითხება ავადმოსაგონარი თარიღი — „1941 წელი, 22 ივნისი“.

ყურებში ჩამესმის იოსებ ბაჩანაშვილის სიტყვები: „ვიცი არ დამივიწყებთ, არც თქვენ და არც არყის ხე!“...

„არ დაგივიწყებთ!“ — ჩურჩულებენ ბაგენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უშანგი ბედია

სურათზე: გიორგი ლეონიძე „ქოსების“ დუქნის წინ. მარცხნიდან — გოგლა ლეონიძის შვილიშვილი გიორგი გვინჩიძე, „ქოსების“ მზარეული თედო. ხელაშვილი და უშანგი ბედია. 1965 წ.

— ზოგიერთ ქუჩას, — ამბობს პოეტი, — უცნაური და შეუფერებელი სახელი ერქვა. ერთხელ თბილისის საბჭოში ავედი და ვუთხარი: რა არის საპნის ქუჩა, მალაკნის ქუჩა. ადექით და ქართველი მწერლების სახელები მაინც დაარქვით-მეთქი. დამიჯერეს, ხო იცი?! ჩახრუხაძის ქუჩა, შავთელისა, ფიროსმანისა, — სულ ჩემი მითითებით არის დარქმეული.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ აბელასთან მივედი.

— გიორგი ნიკოლაევიჩიც მოვიდა? დაუძახე კაცო!

გოგლა ალაყაფის კართან იდგა. აბელა წამოდგა.

— მოდი, კაცო, შენზე უკეთესი სხვა ვინ უნდა მესტუმროს.

გოგლა მოვიდა.

— ქეიფობ, აბელ?

— ვქეიფობ მა რა, აბელა ვარ! ჯერ ეს კაცი გაიცანი, გიორგი ნიკალაევიჩ, ჩემი ძმაკაცია.

— კეთილი!

გოგლა აბელას გვერდით ჯდება.

— ერთი გვანცელაძის ქალთან აირბინე, — მეუბნება გოგლა, — ჩემს ახალგაზრდობის დროინდელ სურათს გამოგატანს.

გვანცელაძე წინათ „ქნარის“ ფსევდონიმით წერდა ლექსებს. გოგლას ახალგაზრდობაში გვანცელაძესთან სურათი ჰქონია გადაღებული. სურათი ჩამოვიტანე. გოგლამ დახედა.

— აი, ნახე რა კაცი ვიყავი.

აბელა სათვალეს იკეთებს და სურათსართმევს.

— „ნიჩივო“, მაშინ ამისთანა რამეები გქონდა დაწერილი?

— არა, ესენი მერე დავწერე, აბელ!

— მაშ ახლა ყოფილხარ კაცი, — უთხრა აბელამ და სურათი გოგლას გაუწოდა.

* * *

იოსებ გაბაძეს „მალაკნების“ ბაზართან შევხვდი შემთხვევით.

— აქეთ გამოვიარე, ჩემეულ დუქნებს ვათვალიერებ... მთელ ავჭალის ქუჩაზე რაც დუქანი და სასადილო იყო, სულ მე მეკუთვნოდა, — ამბობს მოხუცი.

— ჯერ ხომ არ წახვალთ?

— არა, რა იყო?

— გიორგი ლეონიძეს შევატყობინებ, მოვა, ფიროსმანზე უნდა შენთან საუბარი.

— „პაჟალუსტა“; მოვიდეს, — მთანხმდება იოსები.

გოგლას შინ დავურეკე, მითხრა: იოსებ გაბაძე არსად არ გაუშვა, ახლავე მანდ მოვალო. მერე ყურმილში ხმა მომესმა: — არა, ჯობია ჩემთან მოხვიდეთ, აბა გელოდებით.

— თქვენი ბინის მისამართი რომ არ ვიცი?

— კაცო, მაშ შენ არ იცი, მე სადა ვცხოვრობ?

— არა.

გოგლას ხარხარი მომესმა.

„რა აცინებს?“ ვფიქრობ.

— ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილი ქართლელი ხარ, — მომესმა ყურმილში და გოგლამ ისევ ხარხარი განაგრძო.

გოგლა მალე მოვიდა. გაბაძეს ხელი ჩამოართვა. იოსებმა „მალაკნების“ ბაზართან თავისი ყოფილი დუქნები აჩვენა. მერე ერთ დუქანში ჩაიყვანა.

— აი, ამ კედელზე ნიკომ ფარშევანგი დახატა, — იგონებს გაბაძე, — ისეთი ნახატი იყო, ცოცხალი გეგონებოდა.

— რომელ წელს?

— თვრამეტი იყო თუ ცხრამეტი.

— თვრამეტში კაცი უკვე მკვდარი იყო, ეგ უფრო ადრე იქნებოდა. მაშინ ბოლშევიკები იყვნენ?

— არა!

— ჩვიდმეტი წელი იქნებოდა.

— შეიძლება, აღარ მახსოვს.

— კაცო, არ იცოდი რომ შენთან გენიოსი მხატვარი დადიოდა და ვერ შეინახე?

— მე ფული მაინტერესებდა, ვაჭრობაში ვიყავი გართული.

— თქვენში ნასწავლი რომელი უფრო იყო, შენ, მესხიევი, გოლა ჭიჭინაძე თუ მაისაშვილი.

— მესხიევი.

— ეტყობოდა, ხო იცი, მე მესხიევთან ვყოფილვარ, სურათიც წამოვიღე, კარგი პატივი მცა.

— კაცო, ის ხომ დიდიხანია მკვდარია, — გაკვირდა იოსები.

— ვიცი, რომ მკვდარია, ამ საქმეს 1922 წლიდან დავდევ. იმ დღეს თბილისის საბჭოში ვიყავი და ველაპარაკე: „ქოსების“ დუქანი უნდა გავხსნათ. ხინკალი, მწვადი და ლუდი გაიყიდება, მეტი არაფერი. ვნახოთ, შემპირდნენ. წინათ ქოსების დუქანში, — განაგრძო გოგლამ, — ჩვენი იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია დადიოდა, ფიროსმანიც ყოფილა. კარგი ღვინო ჰქონიათ, ბევრჯერ ილიასაც უყიდია, იქვე ცხოვრობდა, თურმე აივანზე გადმოდგებოდა და თითით ანიშნებდა: ერთი ხელადა ღვინო ამომიტანეთო...

— თუ გინდა ნიკო ფიროსმანაშვილზე ამბავი კარგად გაიგო, ნიკიფორე ლელაშვილთან უნდა მიხვიდე, — ამბობს გაბაძე და ხელში გაზეთის გრაგნილს ნერვიულად ათამაშებს, — იმან უფრო იცის იმისი ამბავი.

— ჰოო, სახლი იცი?

— ნიშანდობლივ.

— შორს ხომ არ არის?

— არა, აქვეა, „ნახალოვკაში“.

ნიკიფორე ლელაშვილი ოთხმოცი წლის კაცია. ნიკიფორე თავის თავგადასავალს ჰყვება, მაგრამ უმჯობესია ნიკო ფიროსმანიშვილზე ვისაუბროთ. გოგლამ ეზოში ყოფნა არჩია:

— ჩრდილია, ვარდებიც ჰყვავიან, — ამბობს პოეტი.

ნიკიფორეს ვარდის მოწყვეტა ვთხოვე. იგი სიამოვნებით მთანხმდება და თვითონ სკამების გამოსატანად ოთახში შედის.

— შენ ნუ მოწყვეტ, თუ უნდა, თვითონ მოგვიტანს, წესი ასეა, ზოგი კაცი მაგითა ცხოვრობს, — მეუბნება გოგლა და თან ვარდებს ყნოსავს.

ნიკიფორემ ოთახიდან სკამები გამოიტანა, ჩრდილში ვსხდებით.

— ახლა ხომ იცი, ჩვენ აქ რაზე მოვედით, ნიკო რომ იყო ფიროსმანიშვილი...

— ჰო, ჰო, ბევრ არყს რომ სვამდა?

— კარგად გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, არაყზე ბევრჯერ დამიპატიჟია.

— არაყს უფრო სვამდა თუ ღვინოს?!

— არაყს უფრო ეტანებოდა.

— ისე, ქართველი კაცი თუ იყო?

— იყო, იგი ხშირად ჰყვებოდა საქართველოს წარსულზე, დინჯი ლაპარაკი იცოდა, პოლიციელები ძალიან ეჯავრებოდა. დაინახავდა თუ არა, იტყოდა: ერთი ეგ ძაღლები უნდა დავხატოო, ისე სულერთავად მალაკნის ქუჩაზე ტრიალებდა.

— რომელი წელი იყო?

— მე მას 1901 წლიდან 1908 წლამდე ვხედავდი, მერე რუსეთში გადამასახლეს, იქიდან ჯარში წავედი. 1917-ში ჩამოვედი და სწორე გითხრა აღარ შევხვედრივარ.

— მიშა ლელაშვილს თუ იცნობდი? — ეუბნება გოგლა.

— როგორ არა, ფიროსმანი პირველად იმან გამაცნო, მალაკნის ქუჩაზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ.

— ავჭალის აუდიტორიაში თუ დადიოდა ფიროსმანი?

— დადიოდა, ბილეთიც არ უნდოდა, მარიამ დემურიას კარგად იცნობდა.

— აუდიტორიის გამგეს?

— დიახ, აუდიტორიის გამგეს.

— ისე, ნაკითხი კაცი თუ იყო?

— იყო.

— მიშას თუ უყვარდა?

ნიკიფორე იცინის.

— სულ ის არ პატიჟებდა?

— მიშა კაი ქართველი კაცი იყო, — განაგრძობს გოგლა, — მახსოვს ჟურნალ „ჭინჭარს“ უშვებდა, პირველი ლექსი იმან დამიბეჭდა, ახლა შენ ის მითხარი განთქმული ტერორისტი იყავი თუ ისე, პატარა.

— კამო რასაც მეტყოდა იმას ვაკეთებდი, დანარჩენი შენ მიხვდი.

— ჰოო, ფიროსმანმა თუ აცოდა?

— საიდან, მე იმას არაფერს ვეუბნებოდი.

გოგლა წამოდგა.

— მერე კიდევ შემოვივლი, — ხელს ართმევს ნიკიფორეს და ემშვიდობება.

გვანჯი მანია



ასწლოვანი ჭადრები.

# ზუგდიდის ბალთა-ბაღი

ოდიშის ბაღების დედა — ზუგდიდის ბალთა-ბაღი კოლხეთის გაუვალი ტყეების ნაშთია. სამეგრელოს მთავრის ლევან V ბრძანებით მოუწყვიათ ე. წ. „მთავრის ბაღი“, რომელსაც შემდეგ (ლევან V 36-წლიანი მმართველობის პერიოდში) თითქმის არაფერი შემატებია. ბაღის გაშენება 1840 წლიდან დაიწყეს, როცა ლევანმა სიცოცხლეშივე გაამთავრა ვაჟიშვილი დავითი, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის — ეკატერინეს მომავალი მეუღლე.

ევროპულ კულტურას ნაზიარებმა დავითმა დასავლეთის საუკეთესო ბაღებიდან გამოიწერა იშვიათ მცენარეთა თესლები და ნერგები, იტალიის ქალაქ ტრიესტიდან მოიწვია გამოცდილი მებაღე — ჟოზეფ ბაბინი და სულ მალე გააშენა ისეთი ბაღი, რომლის ბადალი, ცნობილი ქართველოლოგის მარი ბროსეს სიტყვებით რომ ვთქვათ, არ მოიპოვებოდა კავკასიაში.

სამწუხაროდ, ამ ბაღს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა: ყირიმიდან გადმოსულმა ომარ-ფაშას ჯარმა დაარბია სამეგრელო, გადაწვა ზუგდიდი, აჩეხა ბაღი, დაატყვევა და ოსმალეთში გადაკარგა მებაღე ჟოზეფ ბაბინი. მეუნარგიას გადმოცემით, ქვრივ ეკატერინე ჭავჭავაძეს უნდა ვუმადლოდეთ ზუგდიდის ბაღის არსებობას. სამეგრელოს დედოფალმა გამოიწერა საჭირო თესლეული და ნერგები მეფე ლუი-ფილიპეს ვერსალის ბაღიდან. მებაღეებად ამჯერად იტალიის ქალაქ ვარეზეს მკვიდრი გაეტანო ზამბერლეტი, შემდეგ კი მისი ძმა ჯიოვანიც მოიწვია და ბაღი მკვდრეთით აღადგინა.

1882 წელს, როდესაც ე. ჭავჭავაძე გარდაიცვალა, ბაღს მზრუნველი ხელი მოაკლდა. 1894 წლის 19 იანვრის „ივერიაში“ ვკითხულობთ: „...ბალთა-ბაღის მოვლისათვის, ცოტა არ იყოს, თავი მიუნებებიათ... თუ ეს ბაღი კიდევ რამდენიმე წელიწადს დარჩა ამ მდგომარეობაში, უდაბურ ტყედ გადაიქცევა...“

ზუგდიდის ბაღის ისტორია კარგად ახსოვს 89 წლის ნიკო კურდღელიას, რომელიც ამ ბაღში 67 წელია მუშაობს. აი რას ამბობს იგი: „...დადიანების დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა ნიკომ ბაღს ძველი ლაზათი დაუბრუნა; მას ეჭირა ასი ქცევა მიწა სოხუმის ხიდიდან ბაზრის ხიდამდე. ხეივნებს ამშვენებდნენ ირმები და ფარშევანგები, ტბას — გედები და თევზები...“

რევოლუციის დღეებში ბაღს მეურვეობდა მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც იმხანად ზუგდიდში მოღვაწეობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ზუგდიდის ბაღის ახალი სიცოცხლე. მეცნიერ-ბოტანიკოსებმა: ი. ლომოურმა, ა. სოსნოვსკიმ, ვ. მირზაშვილმა ბევრი რამ გააკეთეს ბაღის შესწავლისა და დაცვისათვის.

შემდგომ, სხვადასხვა დროს, ბაღს პატრონობდნენ ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, მემცენარეობის საკავშირო-კვლევითი ინსტიტუტი, რაიონის სატყეო მეურნეობა, ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილება და სხვ.

მეურვეთა ხშირი ცვლის შედეგად შესუსტდა კონტროლი და დაიღუპა ბევრი ასწლოვანი ფიჭვი, ჭადარი, მაგნოლია... ისტორიული ბაღის დიდი ნაწილი კერძო სახლებმა და სხვა დანიშნულების ნაგებობებმა დაიკავეს.

1970 წელს ზუგდიდის ბაღი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალად გამოცხადდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექციის დახმარებით ზუგდიდის ბაღის ახალგაზრდულმა კოლექტივმა დიდი საქმე გააკეთა: ბაღს რკინა-ბეტონის ლამაზი ღობე-გალავანი შემოავლეს, აღწერეს ყველა მცენარე, აღადგინეს მთავრისეული არხი. ახლა მდინარე ჩხოუშის წყალი ბაღში პაწია „ზღვას“ ქმნის, რომელსაც კუნძული, ნახევარკუნძული, უბე და სრუტე აქვს. არხში ისევ დაცურავენ თეთრი და შავი გედები.

ბაღი სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად გადაიქცა. აქაური მეცნიერი თანამშრომლები და ტექნიკური პერსონალი — აგრონომები, ლაბორანტები, მუშები ბაღის მოვლით სამუშაოებსაც ასრულებენ. ბაღში მცენარეთა სახეობამ 154-დან 600-ს გადააჭარბა. ბოლო ორ წელიწადში ათეულ ათასობით მანეთის სტანდარტული ნერგია რეალიზებული.

ცნობილია, რომ სწორედ ამ ბაღიდან გავრცელდა „იზაბელას“ ანუ „adesas“ ჯიშის ვაზი სამეგრელოში. ქალაქისა თუ რაიონის საწარმოო-დაწესებულებებს ბაღმა ათეულ ათასობით ძირი დეკორატიული მცენარე, ბუჩქი, ყვავილი მიჰყიდა.

1974 წელს მწყობრში ჩადგა დიდი ორანჟერეა. აითვისეს და დაამუშავეს 15 000 კვადრატული მეტრი ფართობი, რომელზეც საკოლექციო და სანერგე მეურნეობაა განლაგებული.

ბაღში ფლორის ოთხ გეოგრაფიულ განყოფილებას ჩაეყარა საფუძველი. ესენია: აზიური, ჩრდილო ამერიკული, ხმელთაშუა ზღვისა და კოლხური. პირველი სამი მხარის მცენარეულობა ადგილობრივ პირობებში უკვე ნაცადია და დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სხვა ბოტანიკურ ბაღებში კოლხური განყოფილება ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ ზუგდიდელებმა ასეთი გამოყოფა საჭიროდ ცნეს, რათა შეინარჩუნონ გადაშენების გზაზე დამდგარ მცენარეთა სახეობები, ეგრისის ქედიდან თუ კოლხეთის დაბლობიდან გადმონერგონ საჭირო ენდემური ჯიშები, რაც კარგი და ძვირფასია შეისწავლონ და სახალხო მეურნეობას დაუბრუნონ.

მეცნიერები აქ ბოტანიკის სხვადასხვა განხრით მუშაობენ. მაგალითად, ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ასპირანტი ანზორ კუკავა სამეგრელოში გავრცელებულ წიწვოვან ჯიშებს ხწავლობს, ასპირანტი კარლო ჩოკორაია შავი ზღვისპირეთის ბოტანიკური ბაღებიდან შემოტანილ დეკორატიულ მცენარეებს იკვლევს...

გენეტიკისა და სელექციის ჯგუფის (უმცროსი მეცნიერი მუშაკი დ. მარღია, უფროსი ლაბორანტები ნ. ჭითანავა, თ. ჩომახია, ბაღის დირექტორი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. თოდუა) მიზანია მეცნიერების უახლესი მიღწევების ფართო გამოყენებით სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მცენარეთა გამოვლენა, გენეტიკურად შესწავლა, ახალი ჯიშების გამოყვანა, გამრავლება და ადამიანის სამსახურში ჩაყენება.

შარშან ზაფხულს ბაღში მუშაობდნენ როსტოვის, ვორონეჟის, კრასნოდარის მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა ჯგუფები, რომლებმაც ზუგდიდელ კოლეგებთან ერთად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ასობით მცენარის სახეობა შეისწავლეს. სასწავლო პრაქტიკა აქ ბევრმა თბილისელმა და სოხუმელმა სტუდენტმა გაიარა.

ზუგდიდის ბალთა-ბაღში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი პერსპექტივებია: იგი ბიოლოგთა, ფიზიოლოგთა, ბოტანიკოსთა, დეკორატორთა, ბიოქიმიკოსთა კადრებს იზიდავს, რათა მათ აქაური მდიდარი ფლორის შესწავლას მოახმარონ თავიანთი ნიჭი, ძალა და ენერგია.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ქაქალ გულში




ხელმოცარული მეთევზე მაღაზიაში.

უ. ნიკოლაიშვილის ნახატი.



ჭვაროსნული ლაშქრობა სისუფთავისათვის.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

იგავი

## გველი და ბაყაყი

გველი და ბაყაყი ერთ გორაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა, გველუკა, — მოფერებით მიესალმა ბაყაყი.

— გაგიმარჯოს.

გველმა იფიქრა, მაინც ჩემი ლუკმაა და ილაპარაკოს ცოტა ხანსო.

— ხედავ, რა ლამაზია ბუნება? — შეეკითხა ბაყაყი.

— როგორ არ ვხედავ, ჩემსავით ჭრელი, ლამაზი და მრავალფეროვანია.

— ღმერთი გწამს? — არ მოეშვა ბაყაყი.

— მწამს. იგი ძლიერი და კეთილია.

— მაშ რატომ ჩადიხარ ბოროტებას? რატომ გესლავ ადამიანებს და ცხოველებს?

გველი არც ჩაფიქრებულა, ისე მიუგო:

— სიცოცხლეში ჩავდივარ ბოროტებას, როცა მოვკვდები, საიქიოში კეთილი გავხდები.

— როგორ, ღმერთმა მარტო საიქიოსათვის დააწესა სიკეთე? — გაოცდა ბაყაყი.

გველმა პასუხი აღარ გასცა და დაინტერესებით იკითხა:

— შენ რაღა გწამს?

— სიკეთე! — მიუგო ბაყაყმა.

გველმა გადაიხარხარა.

— რატომ იცინი? ჩემი სიკეთე ცნობილია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოსტნებში მავნებლებს ვსპობ. ბუნება კეთილის მხარეზეა. ვინც ბოროტების ჩადენას განიზრახავს, დაისჯება.

გაბრაზებულმა გველმა პირი დააღო და ბაყაყის გადასაყლაპავად მოემზადა.

ბაყაყი შიშმა აიტაცა.

სადაც გველი იყო გაწოლილი, სოროს სიგრილეში ზღარბი შემალულიყო. ზღარბმა ყველაფერი მოისმინა და გველს ეძგერა. მწარედ დაჩხვლიტა, დაასისხლიანა და გონება დაკარგვინა.

.მომაკვდავ გველს ბაყაყმა ჩასძახა:

— ხომ გითხარი, ბუნებაში ბოროტების მომსპობი ძალებიც არსებობს!

ვლადიმერ გოგიბერიძე




უსიტყვოდ.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 4. XIX საუკუნის რუსი მხატვარი. 7. დედამიწის ყველაზე მაღალი მთები აზიაში. 8. ზეპირად მოარული მოკლე, სასაცილო ამბავი. 10. სამდინარო პრიმიტული ტრანსპორტი. 12. ძმარმჟავას მარილი. 13. ჯარის შენაერთი. 14. აეროპორტი შავ ზღვასთან. 17. ოპერა. 18. თავის ტვინის სიმსივნე. 19. გარკვეულ გეოგრაფიულ არეში გავრცელებული მცენარე ან ცხოველი. 20. მოძრავი ხიდი მდინარეზე. 22. ეთიოპიის იმპერატორის ტიტული. 24. ყმაწვილის მოფერებითი სახელი. 26. აბზინდის არაყი. 27. ქალის კნინობითი სახელი ხევში. 28. საბრძოლო იარაღი. 29. მამაკაცის ტანსაცმელი. 30. ნაკლი ანუ... 31. რომაელი პოეტი.

ვერტიკალურად: 1. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. 2. ქალაქი ეგვიპტეში. 3. გმირი მფრინავი. 5. ძველი ფილოსოფოსი. 6. ბანდის მეთაური. 9. ჯარის ქვედანაყოფი. 11. ირიბად ნაქსოვი მტკიცე ქსოვილი. 15. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოდაზე ჩაცმული მამაკაცი. 16. მამაკაცის სახელი. 21. უცილობელი ჭეშმარიტება. 23. საბრძოლო იარაღი. 24. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი. 25. „ილიადას“ გმირი. 28. ცოდნის შესაფასებელი ნიშანი.

შეადგინა თამარ იმერლიშვილმა



## ურწმუნო თომები

ქვეყნად თუ კიდევ მოიძებნება ადგილი, სადაც არ ცნობენ დარვინის ევოლუციის თეორიას, ეს, ალბათ, ტენესის შტატის ქალაქი დეიტონია.

პროვინციული ქალაქი ცნობილი გახდა სამწუხარო „მაიმუნების პროცესით“, როცა 1925 წელს გაფთრებულმა ობივატელებმა კანონის ძალით აკრძალეს ქალაქის სკოლებში სახეთა წარმოშობის თეორიის სწავლება.

ადამიანი ღმერთმა შექმნა, მორჩა და გათავდა, აცხადებდნენ ისინი.

დიდი მეცნიერის შვილთაშვილი, ლონდონელი ბიოლოგი ფრენსის დარვინი წელს დეიტონელთა გადარწმუნებას შეეცადა და ჩაუტანა მათ ფილმი — „ჩარლზ დარვინის მოგზაურობა“. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის თავმჯდომარემ საბოლოო სიტყვაში განაცხადა, — ჩვენ ეჭვი მაინც არ გვეპარება, რომ დედამიწა ღმერთმა შექმნა, მაგრამ ჩანს, იგი ევოლუციის კანონების შესაბამისად მოქმედებდაო.

ყველა კმაყოფილი დაიშალა.

## პოპ-ვარსკვლავთა არსენალი

როგორია პოპ-მუსიკის თანამედროვე ანსამბლთა ტექნიკური აღჭურვილობა?

„ბიტლსები“ მინიმუმით კმაყოფილდებოდნენ. დღევანდელ „ვარსკვლავებს“ კი უკვე ეცოტავებათ მხოლოდ გიტარები. მათ შორის რეკორდსმენად თამამად შეიძლება დავასახელოთ ინგლისური ტრიო — „ემერსონი, ლეიკი და პალმერი“. მათი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის საერთო წონაა 35 ტონა, ხოლო მომსახურე პერსონალი, მთავარი ინჟინრით დაწყებული, ექსტაზით გახურებულ მსახიობთათვის წყლის მიმტან ბიჭებამდე 50 კაცია. კონცერტის წინ ტექნიკურ მოწყობილობათა მონტაჟს სცენასა და დარბაზში შვიდი საათი სჭირდება.

„როლინგ სტოუნზის“ გამოსვლებს თუ საკარნავალო ქარიშხალს ადარებდნენ, „ემერსონი, ლეიკი და პალმერის“ კონცერტებს ყველაზე ენამახვილმა ჟურნალისტებმაც კი ჯერ ვერ მოუნახეს შესაფერისი სახელწოდება.

პიანისტი კიტ ემერსონი, ბასგიტარისტი და მომღერალი გრეგ ლეიკი და დასარტყმელი ინსტრუმენტების ჯადოქარი კარლ პალმერი მუსიკის სამსახურში აყენებენ კინოეკრანს, ყოველგვარი ხმაურის ეფექტს — პიკირებული თვითმფრინავის კივილსა თუ ტყვიამფრქვევის ჯერის კაკანს. კვამლის ყუმბარები ზედ სცენაზე სკდებიან. „მაგრამ მუსიკა ჩვენთვის ტექნიკაზე მნიშვნელოვანია“, — ამბობს კიტ ემერსონი და, ჟურნალისტთა გასაოცრად, დასძენს: „ჩვენ ავანგარდისტები სულაც არა ვართ, ისინი ხომ ვერ აღუძრავენ მსმენელს გრძნობებს. ჩვენ ალბათ უფრო იმ „სასწაულმოქმედთ“ შეიძლება შეგვადარონ, რომლებიც მსმენელს თავიანთ ტრიუკებში მონაწილეობის უფლებას აძლევენ“.

## პოპულარობა

კლინტ შოუმ მიზანს მიაღწია — იგი უპოპულარესი პიროვნება გახდა. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი მოქალაქე, რომელმაც ქვეყანა გორგოლაჭიანი ციგურებით გადასერა, 5.000 კილომეტრიანი მარათონის 56 დღეში გავლას ვარაუდობდა, მაგრამ ასეთი გრაფიკის დაცვა ვერ შეძლო.

დიდება წინ უსწრებდა — მოწყენილობისაგან გატანჯული პროვინციელები მას ხანგრძლივ საზეიმო შეხვედრებს უმართავდნენ. ქალაქ ელროის მერმა კი იგი საპატიო მოქალაქედ გამოაცხადა.

## „წინასწარმეტყველი“

ბი-ბი-სიმ 1968 წელს დადგა ნაიჯელ ნილის დრამა — „სექსის ოლიმპიადის წელი“.

დრამაში მოქმედება ვითარდება 1986 წელს და ყოველივე, რაც ამ არცთუ შორეულ მომავალშია მოსალოდნელი, ავტორს მსოფლიოს დღევანდელობის ლოგიკურ გაგრძელებად მიაჩნია.

მაშ ასე, 1986 წელი — მამაკაცებს დალალები ჩამოუშლიათ და მინი კაბებით დადიან, კაცობრიობის უნაზესი ნახევარი კი ბარძაყებზე შემოსალტულ ტოტებგანიერ შარვლებს ატარებს. ძირითადი გასართობია ტელევიზია და ა. შ.

მაშინ, — ამტკიცებს დრამის ავტორი, — კაცობრიობა ტელევიზიის ისეთი აბსოლუტური კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება, რომ აღარ იქნება მთავრობის, პოლიციის იძულებითი ღონისძიებების საჭიროება. ტელევიზია გადაჭრის აგრეთვე ყველა დღევანდელ ზოგადსაკაცობრიო პრობლემასაც. ასე მაგალითად: დედამიწის ჭარბდასახლებულობის პრობლემა აუცილებლად მოიხსნება იმით, რომ ტელევიზია ოცდაოთხი საათის განმავლობაში გადასცემს პორნოგრაფიულ ფილმებს და ამით მოსახლეობაში აბსოლუტურად ჩაახშობს გამრავლების ინსტინქტს.

## ვინ იქნება ოცდამეცამეტე?

მდიდარი ადამიანების გატაცება გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, იტალიაში ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა. შარშან ოცდაათი ასეთი გატაცება მოხდა. ოცდამეთერთმეტე იყო მრეწველი მონტეზი, რომლის გამოსყიდვა მის ოჯახს ორი მილიარდი ლირა (სამი მილიონი დოლარი) დაუჯდა.

ოცდამეთორმეტე მსხვერპლი გახლდათ გრაფი ალბერტო ჯერლი. მილანის ცენტრში დღისით, მზისით, მასთან ორი პოლიციელი მივიდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერლის პასპორტი შეუმოწმეს და სთხოვეს, უახლოეს საპოლიციო განყოფილებაში გამოგვყევიო.

პოლიციელები გადაცმული ბანდიტები გამოდგნენ. ასე გაჰყვა თავისი ფეხით მილანის ერთ-ერთი უმდიდრესი გრაფი გამტაცებლებს.

## ხუთი საუკუნის წინ

ფეხსაცმელებს „პლატფორმებზე“, რომლებიც ახლა ასე მოდაშია, ვენეციელი ქალები ჯერ კიდევ ხუთასი წლის წინ ატარებდნენ.

ასეთ ფეხსაცმელებს მაშინ თავისი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა: „წყლის ქალაქში“ — ვენეციაში ქალებს ფეხი რომ არ დასველებოდათ, იძულებულნი იყვნენ სქელლანჩიანი ფეხსაცმელები ეტარებინათ.

„პლატფორმების“ სიმაღლე თანდათან ისე გაიზარდა და ადამიანის უსაფრთხოობისათვის ისეთი საშიში სახე მიიღო, რომ ქალაქის ხელისუფლებმა საგანგებო კანონი გამოსცეს.

ამ კანონის მიხედვით, ხარაზი, რომელიც დაწესებულ სტანდარტზე უფრო მაღალ ფეხსაცმელს შეკერავდა — ციხეში სამი თვის პატიმრობით ისჯებოდა, ფეხსაცმელების მყიდველებს კი აჯარიმებდნენ.

## ავტომობილი-ლაბორატორია

ავსტრიაში დაამზადეს ორიგინალური ავტომანქანა, რომელიც სპეციალურ ფირზე იღებს გზის რენტგენის სურათს.

აპარატურა არა მარტო აღნუსხავს გზაზე არსებულ ორმოებს, ბზარებს, ოღრო-ჩოღრო ადგილებს, არამედ ასფალტისა თუ ბეტონის სქელ საფარსაც აშუქებს და ზუსტად მიანიშნებს რა მდგომარეობაშია საყრდენი ნიადაგი.

ასეთი მეთოდით ხდება ახლა საგზაო ინსპექციის მიერ ახალი საავტომობილო ტრასების მიღება და უკვე არსებული გზების გულმოდგინე შესწავლა-შემოწმება...

## მღერის და უკრავს

მიუნხენში იყიდება ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტები მუსიკალური ნაწარმოებებით, რომლებსაც ასრულებს გფრ-ის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი.

ერთ ფირფიტაზე იგი ასრულებს ბავარიულ ხალხურ სიმღერებს, მეორეზე კი ფორტეპიანოზე უკრავს იოჰან შტრაუსის ვალსებს.

## მარათონი ინფარქტის შემდეგ

ტორონტოში გაიმართა მარათონული რბენა, რომელშიც მონაწილეობდა 8 კაცი 39 წლიდან 49 წლის ასაკამდე. ოთხი წლის წინ მათ გადაიტანეს მიოკარდის ინფარქტი, მხოლოდ ერთი მათგანი გამოეთიშა შუა გზიდან ასპარეზობას. დანარჩენები ფინიშამდე მივიდნენ. თითოეულმა მათგანმა, დაახლოებით 4,5 კგ დაიკლო ახლა ყველა მათგანი ჩინებულად გრძნობს თავს.

## ჩვენს დრომდე დიდი ხნით ადრე

ქალაქ ბარკაში (სამხრეთი ერაყი) მიმდინარე გათხრების დროს აღმოჩნდა ძველი ლურსმული წარწერები, რომლებიდანაც ცხადი ხდება, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლით ადრე შუმერის სახელმწიფოში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები სირბილში, ჭიდაობაში და... ლომებზე ნადირობაში.

## რეკორდიც ამას ჰქვია

შვედური პრესა წერს ფეხბურთის მატჩებისადმი ინტერესის კატასტროფული დაცემის შესახებ. ამ მხრივ თავისებური რეკორდი მაინც მეორე ლიგის კლუბების „სკელეფტეასა“ და „დეტერფორსის“ მატჩში აღინიშნა. მას დაესწრო 8 მაყურებელი, სალაროს შემოსავალი კი შეადგენდა 50 კრონს! ეს მაშინ, როდესაც სტუმრად მოთამაშე კლუბ „დეტერფორსს“ ამ ქალაქში ჩამოსვლა დაუჯდა 8000 კრონი.

## როცა მედიცინა უძლურია

ლონდონში არსებობს „ყოფილ სპორტსმენთა კლუბი, რომლებიც არ ასრულებდნენ ექიმების დარიგებებს“.

კლუბის პრეზიდენტი 94 წლისაა, ვიცე-პრეზიდენტი კი 96 წლისა.

## „ღამის გასათევი?! როგორიც გნებავთ!“

1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ სტუმრებს ისეთი ღამის გასათევი ექნებათ, როგორსაც მოისურვებენ.

უფრო კონკრეტულად — კომიტეტმა განმარტა, რომ მის განკარგულებაშია „ლუქსი“ ნომრები ფეშენებელურ სასტუმროებში, რომელიც ერთი დღეღამის განმავლობაში 70 დოლარი ღირს, ხოლო საწოლი ღია ცის ქვეშ სულ რაღაც 50 ცენტი.

# საინტერესო ამბების სკივრიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარევი



ამერიკელმა სპეციალისტებმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეძლეს გამოეყვანათ მტრედის ახალი ჯიში.

უცნაური გარეგნობის მტრედი ორჯერ უფრო მეტს იწონის ვიდრე ჩვეულებრივი მტრედი: მას შინაური ქათამივით აღარ შეუძლია ფრენა.

ახალი ჯიშის მტრედს მეტად ნაზი და გემრიელი ხორცი აქვს. მათ უახლოეს ხანში მოაშენებენ ფერმებში.



ბრაზილიის ქალაქ ვიტორიის ციხის ადმინისტრაციამ პატიმრებს შორის გამოაცხადა კონკურსი საპყრობილეში მომრავლებული თაგვების მოსპობაზე.

ყველას აჯობა ერთ-ერთმა მკვლელმა, რომელსაც 100 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ჩემპიონმა 30 თაგვი მოსპო და პირველი პრიზი — შინ ერთი დღით წასვლის ნებართვა დაიმსახურა.

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ კაცობრიობა საშუალოდ ყოველ ერთ წუთში ჭამს 25 მილიონ კილოგრამ პურს, 35 მილიონ კილოგრამ ხორცს, 30 მილიონ კილოგრამ კარტოფილს, 100 ათას ტონა შაქარს...

თუთუნის მოყვარულები ყოველ წუთში 190 ტონაზე მეტ თამბაქოს ეწევიან.

სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ინგლისში ყოველწლიურად სვამენ 112 მილიონ ლიტრ ვისკს, სამას მილიონ ლიტრ ღვინოს და 107 ათას ტონა თამბაქოს ეწევიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგმა არქიტექტორებმა მ. პეტიმ და ჟ. პელეგრენმა შექმნეს მეტად ორიგინალური საცხოვრებელი სახლის პროექტი.

საცხოვრებელი სახლი შემდგარია ოთხ საყრდენზე, რომლებიც თვლებს ეყრდნობა. თვლების ქვევით სპეციალური მოძრავი მოწყობილობაა ჩამონტაჟებული.

სახლი მთელი დღის განმავლობაში ნელ-ნელა მოძრაობს მზის გადახრის მიმართულებით, ღამით კი ისევ თავის საწყის მდგომარეობას უბრუნდება.



ნიუ-იორკის გაზეთ „დეილი ნიუსის“ აზრით, მსოფლიოში ყველაზე ჭუჭყიანი ქალაქებია რომი და ლონდონი, ყველაზე სუფთა — მოსკოვი და პარიზი.



იუტას შტატის (აშშ) უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამოთვალეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ბავშვები ტელევიზორის ეკრანზე ყოველწლიურად ხედავენ საშუალოდ 1800 მკვლელობას, ე. ი. დღეში დაახლოებით ოთხ გვამს.



პარიზში გამოაცხადეს, რომ მიმდინარე წელს დაიწყება ეიფელის კოშკის ახალი საღებავით გადაღებვა.

30 მღებავს ამ სამუშაოს შესრულებისთვის სამი წელი დასჭირდება.

კოშკის გადაღებვაზე დაიხარჯება 25 ტონა მაღალხარისხოვანი საღებავი.





ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალური მონაცემებით, ცხრა მილიონზე მეტი ალკოჰოლიკია. სახელმწიფოსათვის მათ მიერ მიყენებული საერთო ზარალი ყოველწლიურად 15 მილიონ დოლარს აღწევს.

იაპონიაში გაჰყავთ მსოფლიოში ყველაზე გრძელი გვირაბი, რომლის სიგრძე 54 კილომეტრი იქნება.

გვირაბი შეაერთებს იაპონიის ორ დიდ კუნძულს — ხოკაიდოსა და ხონსიუს.

მშენებლობის დამთავრება 1979 წლისათვის არის ნავარაუდევი.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ უბანში — რუზველტის კუნძულზე გაშენდება ახალი „ქალაქი“, რომელშიც არც ერთი ავტომანქანა არ იქნება.

აქაური მცხოვრებნი მხოლოდ ელექტრომობილებით ისარგებლებენ.

ახალი რაიონი ნიუ-იორკს დაუკავშირდება ხიდებით, ჩამოკიდებული გზებითა და მეტროთი.

პოლონეთში, ვროცლავის მუსიკალურ სასწავლებელში გაიხსნა... მუსიკათერაპიის განყოფილება.

მუსიკოსები ექიმებთან ერთად გულმოდგინედ ამუშავებენ ნერვულად დაავადებული პაციენტების მუსიკით მკურნალობის ახალ მეთოდებს.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ჩვენი მომავალი“. თარხან არჩვაძის ფოტო. მეორე გვერდზე: პლაკატი თენგიზ სამსონაძისა.

გადაეცა ასაწყობად 9/V-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52 100 შეკვ. № 2008., უე 01945 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.







გლდანის № 1 ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული სკოლა-ინტერნატი 1958 წელს დაარსდა. იგი საბჭოთა კავშირში ამ ტიპის ყველა სკოლა-ინტერნატზე უძველესია.

თავისი არსებობის ჩვიდმეტი წლის მანძილზე სასწავლებელი ათასზე მეტმა მოსწავლემ დაამთავრა. ყველა მათგანმა მიიღო საზოგადო ინსტრუქტორის, მსაჯისა და მწვრთნელის თანაშემწის კვალიფიკაცია.

სკოლა-ინტერნატი სამართლიანად ამაყობს თავის კედლებში აღზრდილი სახელოვანი სპორტსმენებით: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებით, საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებითა და პრიზიორებით.

აქ, გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში აღიზარდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ექსჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი ომარ ფხაკაძე.

აქ აიდგეს ფეხი საერთაშორისო კლასის ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ექსრეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში გურამ გუდაშვილმა, მსოფლიო ჩემპიონმა ჭიდაობაში მიხეილ სალაძემ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა სოსო ბერიშვილმა, ფეხბურთელებმა ვახტანგ რეხვიაშვილმა, ვახტანგ კოპალეიშვილმა და სხვებმა.

სკოლა-ინტერნატში ახლა 430 მოსწავლეა. ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად ისინი მონდომებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობებს: მძლეოსნობას, ფეხბურთს, ჭიდაობას, ველოსპორტს.

სასწავლებლის ადმინისტრაციამ უკანასკნელ წლებში საუკეთესო პირობები შეუქმნა მოზარდებს. სკოლა-ინტერნატი დაკომპლექტებულია გამოცდილი პედაგოგებითა და მწვრთნელებით, მოსწავლეთა განკარგულებაშია სპორტული მოედნები და სავარჯიშო დარბაზი, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. მოწესრიგდა სასწავლო-მატერიალური ბაზა.

გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატიდან ახალ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ველით!

ლია გლოველი

# ახალ ჩემპიონებს ველით!



გოგოლაძის ფოტო







ИНДЕКС 76056

ლისის ტბაზე. გ. ხეჩოიანის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა